სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 აგვისტო 2006 №189 (2811) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 0

ფარერები წყალს გაჰყვა, საფრანგეთი მოდის

გრინვიჩის დროით შუაღამის თორმეტის ნახევარი იყო, კლაუს ტოპმიოლერს ფარერების დედაქალაქ ტორსჰავნში რომ დავუკავშირდით. იქ გუნდი თამაშიდან საათნახევარში ჩავიდა, ივახშმა და ჰერ კლაუსიც მერეღა აღმოჩნდა ჩვენს განკარგულებაში...

— როგორ შეაფასებდით თამაშს?

— ბევრი ტრავმიანი ფეხბურთელი გვაკლდა — ხიზანიშვილი, კალაძე, ცქიტიშვილი, მარცვალაძე... ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შედეგიც და თამაშიც დადებითად უნდა შეფასდეს. საქართველოს ნაკრებისთვის ეს ძალიან კარგი შედეგია.

— არცთუ ცოტა შეცდომა იყო დაცვაში...

— დაცვაში ორი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა — ხიზანიშვილი და კალაძე. ასეთი დანაკლისის შემთხვევაში შეცდომები ნებისმიერ გუნდს ექნებოდა.

— საქართველოს ნაკრებიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?

— ყველას, საერთო ჯამში, გუნდმა კარგად ითამაშა, ყველა ფეხბურთელმა შეასრულა დავალება, არც ერთ მათგანს კონცენტრაცია არ დაუკარგავს.

— მომდევნო მატჩი საფრანგეთთან გვაქვს და ეროვნული სტადიონი ალბათ გადაიჭედება...

— ვფიქრობ, ბევრი რამის უკეთესობისკენ შეცვლა უკვე მოვახერხეთ. დღევანდელ მატჩში გვქონდა შეცდომები, მაგრამ თუ 2 სექტემბრისთვის საქართველოს ნაკრების ყველა წამყვან ფეხბურთელს მოვუყრით თავს, მართლაც კარგი გუნდი გვეყოლება.

— შოთა არველაძის თამაშზე რას იტყოდით?

— სამი გოლის გატანა თავისთავად დიდებულია, მისი მეორე გოლი მართლაც განსაკუთრებული იყო, თუმც ამ მატჩში საუკეთესო გოლი დავით მუჯირმა გაიტანა.

— გიორგი დემეტრაძე რისთვის დასაჯეთ — რატომ არ გაამწესეთ სასტარტში?

— მან დაიგვიანა, დროულად არ გამოცხადდა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ტრავმირებული გყავდა, დისციპლინის დარღვევას ვერავის ვაპატიებთ. თუ უდისციპლინობას შევეგუებით, ისეთ გუნდებთან, როგორიც საფრანგეთი და იტალიაა, არანაირი შანსი არ გვექნება.

— ეს გამარჯვება ალბათ იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ქართველებს თავდაჯერებულობას შემატებს...

— ქართველ ხალხს, რომელმაც ტელევიზიით ნახა ეს მატჩი, ალბათ პატარა ბედნიერება მივანიჭეთ და გავუღვივეთ რწმენა, რომ ფეხბურთის თამაში ისეთ პატარა ქვეყანასაც შეუძლია, როგორიც საქართველოა.

— 2 სექტემბერს საფრანგეთთან მატჩისთვის როგორ მოემზადებით?

— ჯერ ვიდეოფირებს უნდა ჩავუჯდე, მომდევნო კვირაში კი თბილისში ჩამოვალ.

დავით თავართქილაძე

პირველი ზოთ თრიქი

შოთა არველაძე: კარგია, რომ ასე ლამაზად მოვუგეთ ფარერებს, დანარჩენი კ

მინდო ა ცუდი იყო, სტადიონს ტაბლოც არ ჰქონდა და, საერთოდ, რასაც საფეხბურთო ჰქვია, ასეთი ამ სტადიონს არაფერი სცხია. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ, მეც კმაყოფილი ვარ იმით, რომ ნაკრების ოფიციალურ მატჩში პირველი ჰეთ თრიქი შევასრულე, მაგრამ თამაშის შემდეგ ისეთი ამბავი გავიგეთ, განწყობა ჩაგვიშხამდა — დათო მუჯირს დედა გარდაეცვალა...

— ეს ძალიან სამწუხაროა... კლაუს ტოპმიოლერმა კი თამაშის მერე რა გითხრათ?

— განსაკუთრებული არაფერი, კარგია, ასე რომ მოვიგეთ, მაგრამ ბევრი წუნი გვქონდაო.

ალან ბრეზნი ტოფტირიდან

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენ წარმოვიდგინეთ, თქვენ წარმოადგინეთ გმადლობთ!

ტოფტირი. 16 აგვისტო. 22 საათი. ტოფტირი. 1 000

ფარერები 0:6 საქართველო

0:1 მუჯირი (16), 0:2 იაშვილი (18), არველაძე (37), კობიაშვილი (51ბ), 0:5, 0:6 არველაძე (63, 82)

ფარერები	საქართველო
მიკელსენი, იონსენი, დანიელსენი, იოჰანსენი, იორგენსენი (ჰანსენი 46), ბენიამინსენი, ბორგი, ნილსენი, ჰ. სამუელსენი (ჯ. სამუელსონი 61), კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი (ფრედრიკსბერგი 72)	ჭანტურია, შაშიაშვილი, ასათიანი, კანდელაკი (კვირკველია 67), კობიაშვილი, ალადაშვილი (გახოკიძე 72), გოგუა (დემეტრაძე 58), კანკავა, მუჯირი, იაშვილი, არველაძე
სათადარიგონი: ტორლეიფსონი, მორტენსენი, ოენსენი	სათადარიგონი: ლომაია, მენთეშაშვილი, სალუქვაძე, იონანიძე
მწვრთნელი: მარტინ ოლსენი	მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: რ. იაკობსენი (29), იოჰანსენი (43)

მაჯვეში: მ. როსი, დ. როდფერნი, ჯ. მაკდაუელი; დ. მალკოლმი (ჩრდ. ირლანდია)

ინსპექტორი: ლ. ბიორკი (შვედეთი); უეფას დელეგატი: ვ. ვაიზელი (გერმანია)

გახსოვთ, ექვსი წლის წინ საქართველოს ნაკრებმა ლიტვაში 4:0-ით რომ დაიწყო შესარჩევი ციკლი? განა ლიტვას ვადარებთ ფარერებს, მაგრამ გუშინ რომ საქართველოს ნაკრები ვნახეთ, რაღაც სხვანაირი გუნდი იყო. 6:0-ს რომ იგებ და კიდევ შეტევაზე გიჭირავს თვალი, ეს რაღაც „არაქართულად" ჩანდა აქამდე, გუშინ კი უყურებდი და თან საათს დასცქეროდი, ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს ეს თამაშიო — ნაღდად საამო საყურებელი იყო...

კლაუს ტოპმიოლერი სიტყვის კაცია: პარაგვაისთან მართლა არწასაგები წაგების შემდეგ თქვა, მომდევნო მატჩს საქართველო აუცილებლად მოიგებსო. მოიგო კიდეც, მაგრამ მოგებაცაა და მოგებაც — დამბალ მინდორზე და ზაფხულისთვის უჩვეულო სუსხში ჩვენებმა სიცხე დამართეს მასპინძელ ფარერელებს, რომლებიც, ვინძლო, ჯგუფში ასაღებ ქულებს თითებზე ითვლიან და პირველ რიგში ქართველებისგან ელოდნენ „წყალობას".

ტოპმ ჩვეულ 4-3-3-ს არ უღალატა — შოთა არველაძე ცენტრფორვარდად გაამწესა, სიღრმიდან კი დავით მუჯირი და ალექსანდრე იაშვილი ამოუყენა. ნახევარდაცვის ბურჯად, ცხადია, ლევან კობიაშვილი იდგა, გოგიტა გოგუამ, ტრადიციულად, ფუტკარივით იმუშავა იქვე მიდამოებში და ჯაბა კანკავაც, მართალია, ცოტა შეუმჩნეველი იყო, მაგრამ ანსამბლში იჯდა. კახა კალაძე და ზურაბ ხიზანიშვილი არ იყვნენ, ჰოდა, ტოპმიოლერმაც, მოლოდინისამებრ, მალხაზ ასათიანი დაწია დაცვაში, მის გვერდით გიორგი შაშიაშვილი დააყენა, ფლანგები კი კახა ალადაშვილსა და ილია კანდელაკს ანდო.

რაც შეეხება გრიგოლ ჭანტურიას, მას ფარერელებმა მხოლოდ მე-5 წუთზე დაუფრთხეს ანგელოზები, ოღონდ ძალიან კი დაუფრთხეს — ბენიამინსენმა 5-6 მეტრიდან ქაჯურად დაარტყა და, რასაც ჰქვია, გადავრჩით!

ეს იყო და, გვარებწარწერილი მუდმივნომრიანი მაისურებით მოთამაშე ქართველებმაც მოზიდეს მშვილდი და მე-16 წუთზე ისეთი გოლი გამოადნეს, რობერტო კარლოსსა და რივალდოსაც შურით გააფითრებდა — დავით მუჯირმა 25-30 მეტრიდან დააჭექა...

დაწყება და გაგრძელება ერთი იყო: „მუმუ" დაფარული პასით მასპინძელთა მეკარეს შეატოვა გოგიტა გოგუა, რომელიც შეყოვნდა, მაგრამ პასი კი გამოუვიდა და ალექსანდრე იაშვილმა საგოლედ გაისროლა — 0:2. გატანის რიტუალიც ლოგიკური იყო, მოზეიმე ქართველებმა ზურაბ ხიზანიშვილს ქალიშვილის დაბადება მიულოცეს.

მუჯირი და იაშვილი სიქას აცლიდნენ ფარერელ მცველებს, არველაძე კი თითქოს ინერტული იყო, მაგრამ კლასი, კლასი... ნაკრების მთავარმეგოლემ 37-ე წუთზე გოგუას ფლანგურ პასს ოსტატურად მიჰკრა ფეხი და ცხადი გახდა — დარჩენილი დრო სტუმრების სოლო-კონცერტად უნდა ქცეულიყო.

შესვენებაზე ჰერ კლაუსს ცვლილება არ მოუხდენია და არც არაფერი რჯიდა. კონცერტი გრძელდებოდა და 51-ე წუთზე იაშვილმა პენალტი გამოსტყუა მცველს, 11 მეტრიდან კი ლევან კობიაშვილმა ცენტრში შეაგდო ბურთი — 0:4.

გოლი ფეხბურთის სილამაზეა და, ზოგს ტყვიასავით გასროლილი ჩაჭედილი მოსწონს, ზოგსაც ჩახუჭუჭებულ-კომბინაციური. კომბინაციური გნებავთ? ინებეთ — იაშვილმა ცენტრიდან კედელ-კედელ ათამაშა ბურთი მუჯირთან, მერე შეცვლაზე შესულ გიორგი დემეტრაძეს ფლანგზე გააყოლა, ამანაც საჯარიმოში ჩააწოდა და არველაძემ ლამის „შპაგატში" გაჭიმულმა ურთულესი სიტუაციიდან შეაგდო — ესეც ხუთი!

ტოპმ დავით კვირკველია და კარგახანს ნატრავმალი გოგა გახოკიძეც შეუშვა ფარერელთა დასაწიოკებლად, მეექვსე გოლის სუნი ყველას სცემდა და გამოვიდა კიდეც — არველაძე პირისპირ დარჩა მეკარესთან, ჩვეულ სტილში მოატყუა და... ეს იყო პირველი ჰეთ თრიქი საქართველოს ნაკრების ოფიციალურ მატჩებში. აქამდე მხოლოდ ერთხელ, ამხანაგურში ვნახეთ ქართული სამგოლიანი და ისიც შოთას ეკუთვნოდა სომხეთთან 7:0 მოგებულ ამხანაგურ თამაშში. და რადგან რეკორდებზე მიდგა საქმე, 6:0 სხვა რა არის...

კიდევ რა დავინახეთ ქართველთა თამაშში? განწყობა, ჟინი, ემოცია, კლასი და... 2 სექტემბრის მოლოდინი...

ილია ნანოგაზვილი

ბიბლიოთეკა

ფოტო: ალექსანდრე ოსიპოვი

გუშინ, თამაშისას, დავით მუჯირი
ბედნიერი კაცი იყო...
გუშინვე, თამაშის მერე,
მან ტრაგიკული ამბავი შეიტყო...
სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
დავით მუჯირს
დედის
გარდაცვალების გამო

ამხანაგური მატჩები

ფინეთი 1:2 ჩრდ. ირლანდია
რუსეთი 1:0 ლატვია
რუმინეთი 2:0 კვიპროსი
ეგვიპტე 0:2 ურუგვაი
ლუქსემბურგი 0:1 თურქეთი
დანია 2:0 პოლონეთი
ნორვეგია 1:1 ბრაზილია
ჩეხეთი 1:3 სერბეთი
ლიხტენშტაინი 0:3 შვეიცარია
ავსტრია 1:2 უნგრეთი
გერმანია 3:0 შვედეთი
იტალია 0:2 ხორვატია
ბოსნია 1:2 საფრანგეთი
ინგლისი 4:0 საბერძნეთი
ირლანდია 0:4 ჰოლანდია
ბელარუსი 3:0 ანდორა

ევრო-2007 ახალგაზრდულები

შესარჩევი ეტაპი

ავსტრია 0:0 ისლანდია	რუმინეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია
ბელარუსი 1:0 კვიპროსი	შვედეთი 3:1 მაკედონია
ბოსნია 3:2 სომხეთი	საბერძნეთი 0:2 ირლანდია
სლოვენია 1:0 შოტლანდია	ისრაელი 3:2 უელსი
პოლონეთი 3:1 ლატვია	სლოვაკეთი 0:0 ალბანეთი
უნგრეთი 5:0 ფინეთი	უკრაინა 0:3 ბულგარეთი

შოტლანდია

ლიგის თასი. პირველი ეტაპი. გადამამაშება

ერდრი 0:3 გრეტნა	ელგინი 2:0 სტენჰაუზმური
ისტ ფაიფი 0:3 როსი	მონტროუზი 2:0 პიტერჰედი

ევრო-2008 შესარჩევი ეტაპი

ესტონეთი 0:1 მაკედონია
ბელგია 0:0 ყაზახეთი

აზიის თასი 2007 შესარჩევი ეტაპი

ავსტრალია 2:0 ძუვეითი
ინდოეთი 0:3 ს. არაბეთი
იაპონია 2:0 იემენი
ჩინეთი 1:0 სინგაპური
უზბეკეთი 2:2 ჰონგკონგი
ირანი 1:1 სირია

ახალგაზრდულები

საჭიროა თუ არა მთავარი მწვრთნელი ახალგაზრდულ ნაკრებში?

კაუნასი. 16 აგვისტო. 20 საათი. დარიუსის და ჟირენასის სახელობის სტადიონი

ლიტვა 1:0 საქართველო

1:0 პანკა (15ჯ)	
ლიტვა: სეტკუსი, ივაშკევიჩუსი, ბარტკუსი, რიმავიჩიუსი, რომონასი, პანკა, კალონასი, მიკოლიუნასი (ლუკშა 72), სერნასი (ურბშუსი 58), პილიბაიტისი (ვეფვეჩიუსი 62), ლაბუკასი	საქართველო: რევიშვილი, თომაშვილი, სეთურიძე, კაშია, ფიფია, ნავალოვსკი, განუგრავა, გრიგალაშვილი, კობახიძე (ხუბუტია 89), გოცირიძე (გელაშვილი 70), მერებაშვილი (ბუალავა 46)
სათადარიგონი: კლევინსკასი, პალიონისი, გნედოუსი, ჩინიკასი,	სათადარიგონი: თევდორაძე, ელიავა, გვაძაბია, წინამძღვრიშვილი
მწვრთნელი: ვიტალიუს სტანკევიჩიუსი	მწვრთნელი: კობა ფორფიკაშვილი

მსაჯები: ბ. კარი, ი. იკონენი, ტ. კოტინურმი; ი. ჰიტია (ფინეთი)

ინსპექტორი: უ. ტუკტი (ესტონეთი);

უეფას დელეგატი: ი. ობლოფინსკი (სლოვაკეთი)

ქართველებმა შაულიუს მიკოლიუნასის (№10) შეჩერება ვერ მოახერხეს

ლიტვაში უმთავარმწვრთნელოდ, რალფ მინგეს გარეშე ჩასულმა ქართველმა 21-წლამდელებმა პირველ ტაიმში სახეირო ვერაფერი შექმნეს.

საწყისი წუთების შემდეგ ლიტველთა უპირატესობა გამოიკვეთა, ქართველები კი ნერვიულობდნენ და უხეშობას უმატეს, თუმც მსაჯმა ჩვენ ახალგაზრდებს ოდენ სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა.

გუნდური მექანიზმი სტუმრებს მორყეული ჰქონდათ და გოლიც გაუშვეს — საკუთარ საჯარიმოში მეტოქე სანდრო კობახიძემ წააქცია და პანკამ ზუსტად შეასრულა 11 მეტრიანი.

გაშვებულმა გოლმა ჩვენი გუნდი ვერ გაახელა — არ იყო აგრესია და ტემპის მომატების მცდელობა, მოედანის ცენტრში ბევრი იყო ტექნიკური წუნი. ლიტვას კი უპირატესობის გაზრდის შანსი მიეცა, მაგრამ კალანასმა ოდნავ ააცილა ნუკრი რევიშვილის კარს.

ერთი ხანობა ჩვენმა ახალგაზრდებმა თამაში გამოასწორეს, თუმცა შოთა გრიგალაშვილის შორეული და უშედეგო დარტყმის გარდა ვერაფერს გამორჩნენ.

ტაიმის ბოლო 7-8 წუთში ლიტვამ მარწუხებს კიდევ უფრო მოუჭირა — ბალტიისპირელთაგან ყველაზე უფრო ჰართსელი მიკოლიუნასი გამოირჩა.

ტაიმის მიწურულს ლიტვამ შტურმისმაგვარიც კი მოაწყო, ქართველები მეტოქის მოედნის ნახევარზეც ვერ გადადიოდნენ, თუმც საკუთარი კარის დაცვა მოახერხეს.

შესვენების შემდეგ თამაში ისე განახლდა, ქართველი 21-წლამდელები შედარებით უკეთესად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათი მონდომება მალევე განელდა — ლიტველები კვლავ დაეუფლნენ უპირატესობას და შაულიუს მიკოლიუნასს რომ ემარჯვა, გოლსაც გამორჩებოდნენ — ლიტველთა იერიშების სული და გული სწორედ „ჰართსის“ შემტევი შუახაზელი გახლდათ.

ტაიმის შუისკენ ჩვენები გაყოჩაღდნენ და რამდენჯერმე მწვავე იერიშიც მიიტანეს ბალტიისპირელთა კართან — ბექა გოცირიძეს არცთუ ურიგო შანსი ჰქონდა, მაგრამ გამთანაბრებელი ვერ შეაგდო — მცველმა დაუფარა. მანამდე კი გრიგალაშვილმა ერთხელაც სცადა შორი მანძილიდან გატანა და მიზანი ოდნავ ვერ გაისწორა.

ერთი სიტყვით, მეორე ტაიმი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველზე ოდნავ უკეთ ითამაშა, 85-ე წუთზე კი ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა — ნიკა გელაშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი, მაგრამ სეტკუსმა მაინც შეძლო მისი მოგერიება.

ევრო 2007-ის მეორე შესარჩევი ეტაპის მომდევნო შეხვედრას ქართველები 3 სექტემბერს შინ ითამაშებენ სერბეთთან, თუმც გუშინდელი მარცხით ჯგუფიდან გასვლის შანსი ძალიან შეიმცირეს.

ლუკა თალაკვაძე

ჩვენი მეტოქეები

უსარგებლო რეკორდი

უკრაინა ბურთებს საქართველოსთვის ეძებს

აზერბაიჯანელთა განადგურება ანდრეი ვორონინმა (№10) დაიწყო

ესაა ამხანაგური მატჩი? — უკრაინელები გაწბილებულნი დარჩნენ იმით, რაც გუშინწინ „ლობანოვსკიზე“ ნახეს. უკრაინამ ცალი ფეხით მოუგო აზერბაიჯანს და ამ შერკინებით, ბევრიც ვერაფერი მიიღო.

„კარგია, ასეთი შედეგით რომ მოვიგეთ, მაგრამ ისიც ფაქტია — მეტოქე ძალიან სუსტი იყო“ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა.

სხვათა შორის, უკრაინის ნაკრების ისტორიაში ეს სარეკორდო მოგება გახლდათ — ექვსბურთიანი სხვაობით მათ აქამდე არასოდეს მოეგოთ.

„ანგარიშის გარდა მომეწონა ისიც, რომ ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯნენ. კმაყოფილი ვარ ახალწვეულების მონდომებითაც“ — თქვა ბოლოს ბლოხინმა.

მასპინძლებმა ოთხი გოლი პირველ ტაიმშივე გაიტანეს — ვორონინმა, ნაზარენკომ, როტანმა და გუსევმა შესვენებამდე გაარკვიეს ყველაფერი; ორიც ვორობეიმ და ბელიკმა შეაგდეს მეორე 45-წუთეულში — 6:0.

და ისევ ბლოხინი: „დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ბურთით არ გვითამაშია, რადგან ყველა დავასაჩუქრეთ და აღარ დაგვრჩა. იმედია, საქართველოსთან მატჩამდე ახალ ბურთებს მივიღებთ. რაც შეეხება ევრო 2008-ის შესარჩევს — თუ შოტლანდიასთან, საქართველოსთან, ლიტვასთან და ფარერებთან ქულები კარგად მოვაგროვეთ, მეორე ადგილისთვის ბრძოლას შევძლებთ, რაც სავსებით დამაკმაყოფილებს.“

უკრაინამ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *კერნოზენკო, ნესმაჩნი (სვიდერსკი 55), ტიმოშჩუკი (შელაევი 46), კუჩერი, რუსოლი, როტანი (მიხალიკი 55), გუსევი (ვორობეი 46), ვორონინი (გუსინი 54), ტკაჩენკო, ნაზარენკო (რიკუნი 46), ბელიკი.*

ძახა შალამბერიძე

სერბეთი იგებს და ქართველებს ზვერავს

მიროსლავ ჯუკიჩი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა რალფ მინგემ ამას წინათ თქვა, ლიტვაში ფრეც ნორმალური შედეგი იქნება, რადგან შემდეგ სერბეთს შინ ვიღებთ და მათთან მოგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გავალთო.

მოგეხსენებათ, საქართველო — სერბეთის 21-წლამდელები თბილისში 3 სექტემბერს შეეყრებიან ერთმანეთს. გუშინწინ კი ბალკანელები ჩეხ თანატოლებს სტუმრად ამხანაგურად ეთამაშნენ და 1:0 იმარჯვეს.

სერბ ახალგაზრდებს ახალი თავკაცი ჰყავთ — მიროსლავ ჯუკიჩი, რომელსაც 12 სეზონი გაუტარებია ესპანეთის პრიმერადივიზიონში — „დეპორტივოსა“ და „ვალენსიაში“ — და ჩემპიონთა ლიგის ორგზის ფინალისტია.

ჯუკიჩმა ჩეხებთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *კაჰრიმანი, ივანოვიჩი (კაჩარი 46), ტოშიჩი, რნიჩი, კოლაროვი, კრასიჩი (რადოვიჩი 46), დრინჩიჩი, მილოვანოვიჩი (სმილიანიჩი 52), იანკოვიჩი (ჰეროვიჩი 46), რაკიჩი, მრდა (ბაბოვიჩი 76).* სერბთა ერთადერთი გოლი დრაგან მრდამ შეაგდო 72-ე წუთზე.

გუშინ კი ჯუკიჩი კაუნასში დაესწრო ლიტვა — საქართველოს 21-წლამდელთა მატჩს: „მეტოქეებს ყურადღებით უნდა დავაკვირდე. მათი ტაქტიკური სქემები და პლუსმინუსები უნდა შევისწავლო. სამგუნდიან ჯგუფში ჩვენ უდავო ფავორიტები ვართ და აუცილებლად უნდა გავიდეთ მომდევნო ეტაპზე. მოდუნებას არ ვაპირებთ“.

ილია ნანოგაფშვილი

თურქეთი დამთავრდა, ლატვია არ გამოვიდა

გივი დიდავამ დინამო-ტორპედო გაიხსენა და საქართველოზე დაფიქრდა

ექვსი სეზონი თბილისის „დინამოში“, ხუთი ქუთაისის „ტორპედოში“, ერთი ბელგიურ „რასინგ-მეხელენში“ და ისრაელის უმაღლესი ლიგის „მაკაბიში“, 21 მატჩი ეროვნულ ნაკრებში...

30 წლის გივი დიდავა ახლა თბილისშია და დღეს-ხვალ, ალბათ, ახალ გუნდში გადავა. იგი ბოლოს თურქულ „ქოჯაელისფორში“ თამაშობდა...

გივი დიდავას (მარცხნივ) ეროვნულ ნაკრებში რობი კინთანაც უპაექრია

— „ქოჯაელში“ სამნახევარი წელი ვიყავი, თავიდან სუპერლიგაში, მერე — პირველში. სამწუხაროდ, „ქოჯაელთან“ კონტრაქტის გაგრძელება შეუძლებელი იყო, რადგან თურქეთის პირველი ლიგის გუნდს ლეგიონერთან კონტრაქტის გაფორმების უფლება არ აქვს. არსებობს ერთი გამოსავალი — თურქული პასპორტის აღება, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, ხუთი წელი ცხოვრობდე თურქეთში. ძალიან დამწყდა გული, თურქეთიდან რომ წამოვედი. არადა, გუნდში ახალი მწვრთნელი მივიდა და „ქოჯაელი“ სუპერლიგაში დაბრუნებას აპირებს.

— „ქოჯაელში“ დაცვაში თამაშობდი თუ ნახევარდაცვაში?

— ორივეგან — დაცვის ცენტრში ან საყრდენ ნახევარმცველად.

— თურქეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაზე რას იტყვი?

— ნორმალური დონეა. ზოგი იქაური იმასაც კი ამბობს, პირველ ლიგაში უფრო რთულია თამაში, რადგან უფრო მეტი ბრძოლაა, ხოლო სუპერლიგაში უფრო კლასის ხარჯზე თამაშობენო.

— თურქეთის პირველ ლიგას საქართველოს უმაღლეს ლიგასთან როგორ შეადარებ?

— „ქოჯაელში“ წასვლამდე საქართველოს ჩემპიონატი ურიგო არ იყო, ახლა კი არ ვიცი, რა ვითარებაა. რაც თურქეთიდან წამოვედი, საქართველოში მხოლოდ ერთ თამაშს, „ზესტაფონი“ — „ამერის“ თასის ფინალს ვუყურე და ერთი თამაშით დასკვნას ვერ გამოვიტან.

— ახალ გუნდში გადასვლის რა ვარიანტები გაქვს?

— ლატვიიდან ახლახან დავბრუნდი. იქაურ „ვენტსპილსთან“ მქონდა მოლაპარაკება, იყო წინასწარი შეთანხმება, მაგრამ ბოლო მომენტში პირობები შეიცვალა და ვერ შევთანხმდით.

— ისევ უცხოეთისკენ გიჭირავს თვალი თუ შესაძლოა, რომელიმე ქართულ გუნდში აღმოჩნდე?

— შესაძლოა, კვლავ უცხოეთში წავიდე და, თუ ეს ვერ მოვახერხე, არაა გამორიცხული, ზამთრამდე რომელიმე ქართულ გუნდში ვითამაშო.

— საქართველოში შენი კარიერის უმნიშვნელოვანესი წლები, ალბათ, „დინამოში“ გაატარე...

— რა თქმა უნდა, „დინამოში“ მოხვედრა ხომ ყველას ოცნება იყო. ძალიან საინტერესო იყო „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დაპირისპირება. „დინამოში“ „ტორპედოდან“ მივედი და როცა ქუთაისში „ტორპედოს“ წინააღმდეგ მიწევდა თამაში, ხანდახან მწვრთნელს წინასწარ ვთხოვდი ხოლმე, არ ვეთამაშებინე და ისიც გაგებით ეკიდებოდა ჩემს თხოვნას.

— ეროვნულ ნაკრებში ბოლოს ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში ითამაშე. როგორ ფიქრობ, ნაკრებს ახლა უფრო აქვს წარმატების შანსი?

— ლატვიიდან გუშინ მე და ზურაბ ხიზანიშვილი ერთად წამოვედით თბილისში და მისგან გავიგე სანაკრებო ამბები. ვფიქრობ, ახალი მწვრთნელის ხელში გუნდს ადრინდელზე უკეთესი შანსი უნდა ჰქონდეს.

— მაშინ, როცა ნაკრებში თამაშობდი, ყველაზე უფრო რა აკლდა გუნდს?

— გუნდურობა, თორემ ნაკრებში ყველა მაღალი დონის ფეხბურთელი იყო, მაგრამ მოედანზე რომ გადიხარ, იქ უკვე გუნდი უნდა გამოჩნდეს...

დავით თავართქილაძე

ბათუმმა ორს ორი მიუჯატა

რაც საქართველოს ჩემპიონატში პაუზაა, „ბათუმმა“ უკვე ოთხი ფეხბურთელი გადაიბირა — ამირან მუჯირისა და ალექსანდრე კოშკაძის შემდეგ ზღვისპირელებმა დავით აბშილავა და დავით გოგოლაძეც შეიგულეს. ახალგაზრდა აბშილავა თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი მცველია, გოგოლაძე კი, მოგეხსენებათ, ფორვარდია და წინა სეზონში საჩხერის „ჩიხურაში“, მანამდე კი ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა.



ამირან გოგიტიძე გუნდს აძლიერებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

რადგან „ბათუმზე“ ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ ახალ სტადიონთან დაკავშირებით ახალი არაფერია. როდის და ვისი დაფინანსებით დაიწყება მშენებლობა, ამაზე ჯერ ლაპარაკი მიდის.

ილია ნანოგაშვილი

საქართველო — 84

ესეც ასე, საქართველოს ნაკრები „ფიფა-კოკა-კოლას“ რეიტინგში წინ მიიწევს: 87-ე საფეხურიდან 84-ეზე აინაცვლა და ვნახოთ, საღ ვიქნებით მომავალი რეიტინგსაში, რომელიც შუა სექტემბერში გამოქვეყნდება — მანამდე ხომ მიჯრით სამი მატჩი გვიწევს, რომელთაგან ერთი გუშინ იყო ფარერებთან.

ლიდერთა ათეულში კი არაფერი არ შეცვლილა, ან კი, რა უნდა შეცვლილიყო — არც ოფიციალური და არც ამხანაგური მატჩები თითქმის არ გამართულა.

ლუკა თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრებმა ახალი ეტაპი ფარერებზე დაიწყო

1	(1)	ბრაზილია	1649				
2	(2)	*იტალია*	1550	15	(15)	*უკრაინა*	954
3	(3)	არგენტინა	1479				
4	(4)	*საფრანგეთი*	1462	40	(41)	*შოტლანდია*	677
5	(5)	ინგლისი	1434				
6	(6)	ჰოლანდია	1322	65	(69)	*ლიტვა*	458
7	(7)	ესპანეთი	1309				
8	(8)	პორტუგალია	1301	84	(87)	საქართველო	359
9	(9)	გერმანია	1229				
10	(10)	ჩეხეთი	1223	169	(169)	*ფარერები*	54

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა



კაი გამარჯობა ბუენოს დიასით

დიეგომ, ტორესმა და მარტინესმა ზესტაფონელები შეყარეს

დიეგო ფიგერედო

სამივე პარაგვაელი ზესტაფონშია: გუშინ ფეროელთა ვარჯიშზე ახალი სახეები გამოჩნდნენ — 22 წლის ნახევარმცველი ხესუს მარტინესი („ტრინიდენსე“, ასუნსიონი), 20 წლის ნახევარმცველი დიეგო ფიგერედო („ნასიონალი“, ასუნსიონი) და 18 წლის ფორვარდი დანიელ ტორესი („აკოსტანიუ“, ასუნსიონი).

პარაგვაელები გუშინ შუადღით ჩავიდნენ ზესტაფონში და გუნდის ორმხრივ მატჩშიც ითამაშეს. საერთო აზრით, სამივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა...

„როგორც წესი, „ზესტაფონის“ ვარჯიშებს მაყურებლები ყოველთვის ესწრებიან, გუშინ კი სტადიონზე დიდი ხალხმრავლობა იყო — ყველას აინტერესებდა სამხრეთამერიკელების ნახვა. ჯერჯერობით ვერ გეტყვით, როდის გაფორმდება მათთან კონტრაქტები. შესაძლოა, სამივე დავიტოვოთ. ეს რამდენიმე დღეში გაირკვევა“ — გვითხრა „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ.

და კიდევ: ამ სამეულიდან დიეგო ფიგერედო აშკარად გამოირჩევა — მას ათენის ოლიმპიადაზეც უთამაშია და ერთი ხანობა „მალიორკასა“ და „ვალიადოლიდში“ გადასვლასთან ახლოს იყო.

ილია ნანოგაშვილი



გამომივიდა ესეც ფრანსუა ტრიუფო....

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორასომ პაპარაცობა და სკანდალი დაიწყო: მთელი საფრანგეთის ნაკრები აიმხედრა



ვიკაშ დორასომ საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები და მწვრთნელი რამენაირად უნდა დაამშვიდოს, თორემ ძალიან ღელავენ. განსაკუთრებით მწვრთნელი რაიმონ დომენეკი ნერვიულობს, თუმცა არც სხვები აკლებენ, საქმე კი ის გახლავთ, რომ „პარი სენ ჟერმენის“ ნახევარმცველი მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში „სამფეროვანთა“ ცხოვრებაზე ფილმს იღებდა. თურმე ეს, ფრანგი რეჟისორის, ფრედ პულეს პროექტის ნაწილი გახლდათ, თუმცა პულესი იყო თუ სხვისა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ფრიად შეაშფოთა.

დორასო გუშინ ბოსნიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობისთვის გამოძახებული არ იყო, სამაგიეროდ, ჟურნალისტებმა სანაკრებოდ თავმოყრილი სხვა „ლურჯები“ იხილეს და მათ გამოკითხეს საინტერესო ამბები. გუნდის ახალმა კაპიტანმა პატრიკ ვიეირამ შეშფოთებით თქვა, რომ ის და მის მეგობრებს არანაირი სურვილი არ აქვთ ვინმემ მათი ცხოვრების კერძო მომენტები გამოამზეურონს. სხვათა შორის, დორასო მკაცრად გააფრთხილა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამაც. ფედერაციამ ვეტერან მოთამაშეს შეუთვალა, რომ სპეციფიკური კადრების საჯაროდ ჩვენებას მისი საგანგებო უფლება სჭირდება, პასუხად კი დორასომ საფრანგეთის რადიოს ეთერით განაცხადა, რომ მისი გადაღებული დოკუმენტური ფილმი სხვა არაფერია თუ არა აბსოლუტურად პიროვნული ხედვა იმ დღეებისა, რომლებიც მან გერმანიაში ერთი თვის მანძილზე გადაიტანა:

„მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ცხოვრებაში არ ვიკადრებ სხვათა სახეების და ხმების საჯაროდ გამოტანას მათი ნებართვის გარეშე. გარწმუნებთ, იმისათვის, რომ მუნდიალზე გადაღებული ფილმი გავუშვა, არავის ნებართვა არ მჭირდება, ვინაიდან ფილმი ჩემზეა. ეს ჩემი ისტორიაა, ზუსტად ისეთი, როგორც იქნებოდა, დღიური რომ ჩამეწერა და მერე დამებეჭდა. ამ შემთხვევაში „სუპერ-8“ კამერა ჩემი კალამი გახლდათ.“

დორასოს ამ გამოსვლამდე კი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა კატეგორიულად განაცხადა, რომ დოკუმენტურ ფილმში მონაწილეობა არ სურს:

„ფილმში მონაწილეობაზე თანხმობა არავისთვის მითქვამს და არც ახლა ვეტყვი. ყველაფერს აჯობებს, დორასომ ჩემი მონაწილეობით ყველა კადრი დაუყოვნებლივ ამოჭრას. მსოფლიოს ჩემპიონატი აღარ მაღელვებს, ის უკვე მოგონებაა, რომელიც ნაწერებსა და ფოტოებში არსებობს. მე ვხედავდი, როგორ იღებდა დორასო იმ დღეებში. ჩვენ ვილაპარაკეთ და მან მითხრა, რომ ეს იქნებოდა პირადად მისი ფილმი, მაშინ თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ ამისგან რაიმე პრობლემა შეიქმნებოდა. ახლა კი, ვინაიდან შეიქმნა, მინდა ვთქვა, რომ არავის აქვს უფლება საჯაროდ აჩვენოს საფრანგეთის ნაკრების ფორმით გადაღებული ფეხბურთელების კადრები. ეს კადრები იურიდიულად არის ქვეყნის ეროვნული გუნდის საკუთრება“.

პატრიკ ვიეირა: „არ ვიცოდი, რას აკეთებდა ჩემი თანაგუნდელი, გაოცებული გახლავართ. დორასო ფრთხილად უნდა იყოს, რადგან აქ საქმე მთელი ჯგუფის ცხოვრებას ეხება. არის რაღაც-რაღაცები, რაც საჯაროდ არ უნდა აჩვენო. შეუძლებელია, გამოაქვეყნო ის, რისი გამოქვეყნებაც ჯგუფს არ უნდა.“

ხოლო საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-პიერ ესკალეტემ პირობა დადო, რომ საკითხს აუცილებლად ჩაუღრმავდება და დორასოსგან გარანტიებს მიიღებს, რომ ფედერაციის უფლებები დაცულია.

„საფრანგეთის ნაკრების თამაშისა თუ ვარჯიშის კადრების ჩვენება უპირველეს ყოვლისა ჩვენი ნებართვით არის შესაძლებელი. ამწუთას დორასოს ეს ნებართვა არ აქვს“ — უთხრა მან გაზეთ „პარიზიენის“ კორესპონდენტს.

პაპუნა კედია

დალმას ერთჯერადი ცხოვრება მოგვეზრდა

ფრანგმა ნახევარმცველმა სტეფან დალმამ „ბორდოსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე და ამგვარად, ფეხბურთელი საშობლოში დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც თითქმის მთელი ევროპა მოიარა.

მისი კარიერა „შატორუში“ დაიწყო, რასაც „ლანსი“, „მარსელი“, პსჟ, „ტულუზი“, „ინტერი“ „ტოტენჰემი“ და სანტანდერის „რასინგი“ მოჰყვა.

„აქამდე, სადაც კი მითამაშია, ერთ სეზონზე მეტ ხანს გუნდში არ დავრჩენილვარ, ამჯერად კი, ვფიქრობ, კარიერას „ბორდოში“ დავასრულებ და აღარსად წავალ. ჩემს ცხოვრებასა და საფეხბურთო კარიერაში ის დრო მოვიდა, როცა მეტი სტაბილურობაა საჭირო“ — განაცხადა დალმამ.

„ბევრი მეუბნებოდა მასზე, რომ არასტაბილური ფეხბურთელია — ბრძანა „ბორდოს“ პრეზიდენტმა ჟან-ლუი ტრიომ — მაგრამ ჩემს კლუბში ასე არ იქნება. თავადაც სურს ერთ გუნდში დამკვიდრება, თუ ეს „ბორდოში“ მოხდება, მით უფრო სასიხარულოა ჩემთვის“.

27 წლის ფეხბურთელმა კი დასძინა: „კლუბების გამოცვლა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიხდებოდა. „ბორდო“ დიდი გამოწვევაა და ამიტომაც ვფიქრობ კარიერის ბოლომდე აქ დარჩენას. შაბათს „ლიონთან“ თამაშს, ალბათ, ვერ შევძლებ, რადგან ფორმაში არ ვარ. წინა სეზონში „რასინგში“ მხოლოდ 13 მატჩი მაღირსეს და ბოლოს დეკემბერში მომიწია მოედანზე გასვლა.“

გიორგი დარჯანია

მიუნხენის „ბაიერნის“ ცენტრალური მცველი ვალერიან ისმაელი გატეხილი წვივის გამო ექვსი თვე ვეღარ ითამაშებს. ფრანგი ფეხბურთელი გუშინწინ ვარჯიშზე დაშავდა და ჰოსპიტალში გააქანეს.

„პირველადი დიაგნოზით, წვივი უნდა იყოს გატეხილი — განაცხადა „ბაიერნის“ მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კლუბის ვებგვერდზე — ვარჯიში ორი წუთის დაწყებული გვქონდა, ჭახანის ხმა რომ გავიგეთ.“

საბოლოო დიაგნოზი ჯერ უცნობია, თუმც, როგორც უნდა იყოს, ისმაელი აქამდეც გატანჯული იყო ტრავმებით. მან ერთი ოპერაცია უკვე გაიკეთა მაისში და შვიდი დღის წინ დაიწყო ვარჯიში.

დავსვათ წერტილი!

იტალიას ჩივილ-ჟივილი მობეზრდა, იტალიას ფეხბურთი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ოლიმპიურ კომიტეტს დაეხმარება. რაში? მოგეხსენებათ, კალჩოპოლის ტრიბუნალზე გასამართლებული გუნდები სასჯელს სწორედ ოლიმპიურ კომიტეტში აპროტესტებენ, რადგან იტალიაში მთელ სპორტს ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს და ფედერაციასაც გადაუწყვეტია, მას გამოსავლის ძებნაში დაეხმაროს.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა", „ფიორენტინამ", „ლაციომ" და „მილანმა" თავიდან ფედერაციის სააპელაციო ორგანოს შესჩივლეს და ვერდიქტიც, უხეშად რომ ვთქვათ, გაინახევრეს, მაგრამ შემდეგ, ეს ნახევარიც აღარ მოეწონათ და ოლიმპიური კომიტეტის კარს მიადგნენ. და იცით, რომ, თურმე კიდევ ერთი ინსტანცია არსებობს? ამ ინსტანციას ჰქვია TAR, მაგრამ, რაც უნდა ერქვას, სერია A-სა და სერია B-ს ჩემპიონატები ხომ უნდა დაიწყოს და ამიტომ საჭიროა, ამ რია-რიას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო, თორემ 9-10 სექტემბრის შაბათ-კვირამდე ბევრი აღარ დარჩა. სწორედ ამიტომ გააქტიურდა ფედერაცია. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანა ფეხბურთის გარეშე ხომ არ დარჩება.

ჩამოთვლილი სამი გუნდიდან პირველს „იუვენტუსს" მოუსმენენ. ეს 18 აგვისტოს მოხდება და ფედერაციას ძალიან უნდა, რომ ყველაფერს ამ დღეს დაესვას წერტილი. ტურინელები ისევ უკმაყოფილონი რომ დარჩნენ და ახლა TAR-ში გაიქცნენ, ქვეყანაში საფეხბურთო გეგმები ფრიად აირევა, თუმცა, რაღა მარტო ტურინელებზე ვთქვით, დანარჩენმა სამმაც მალევე უნდა მოათავოს ჩივილი. თუმცა ის, რომ ჩემპიონატის ჩაშლის შიშით „იუვენტუსს" ვინმე სერია A-ში აღადგენს, ძალიან საეჭვოა. დიდი-დიდი, მინუს ჩვიდმეტი ქულა შეუმცირონ. ხომ გახსოვთ, თავიდან „ბებერ ქალბატონს" ახალი სეზონის დაწყება მინუს 30 ქულით მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ 17-მდე შეუმცირეს. „ლაციოს" და „ფიორენტინას" „იუვენტუსზე" მეტად ნამდვილად გაუმართლათ, სერია B-ში არ გაუგდიათ, თუმცა მინუს ქულები მათაც მიუსაჯეს. მათი მინუსი 11-ია, ხოლო ყველაზე ნაკლებად დასჯილი „მილანია" — 8.

„ტყუილია, თითქოს ვინმე სასჯელის გაუქმებას აპირებდეს — უთხრა „გაძეტა დელო სპორტს" ფეხბურთის ფედერაციის მავანმა წარმომადგენელმა — ჩვენს ფეხბურთში დიდი დარღვევები აღმოვაჩინეთ და სპორტული სამართლის სისტემა საკუთარი თავის პატივისცემას არ დაკარგავს."

პაპუნა კედია

ობაფემი მარტინსი 6 წელს იპარავს?

კაჭკაჭმა ნიგერიელის პასპორტში ჩაიხედა

„ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელ გლენ რიოდერს ობაფემი მარტინსის ასაკში ეჭვი შეეპარა — „ნიუკასლი" ნიგერიელის „ინტერისგან" ყიდვას გეგმავდა. მოგეხსენებათ, მარტინსისთვის „ინტერში" ადგილი ძლიერ შევიწროვდა, რადგან მილანის კლუბმა ბოლო პერიოდში დაიმატა ისეთი თავდამსხმელები, როგორებიც არიან არგენტინელი ერნან კრესპო და შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი. როგორც კი მარტინსის შეძენის შესაძლებლობა გამოჩნდა, მყისვე გამოიკვეთა სხვებზე მეტად დაინტერესებული მხარეც — „ნიუკასლ იუნაიტედი" — მაგრამ აი, მოუსმინეთ რიოდერს:

„არის ეჭვი, რომ მარტინსი თავს ხუთი-ექვსი წლით უმცროსად ასაღებს, ასეთი ადამიანის გუნდში მიყვანა კი ყოვლად შეუძლებელია — უთხრა „კაჭკაჭების" შეფმა გაზეთ „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტს — თუ ეს ამბავი დამტკიცდება, მაშინ ასაკში სხვაობა ფასზეც აუცილებლად უნდა აისახოს".

„ნიუკასლ იუნაიტედს" ძალიან სჭირდება თავდამსხმელი. მაიკლ ოუენმა, როგორც იცით, მსოფლიოს ჩემპიონატზე მყესები ძლიერ დაიზიანა, ალან შირერმა კი ფეხბურთის თამაშს დაანება თავი. ამბობენ, რომ ნიუკასლელებს ცალი თვალი „ფეიენოორდის" თავდამსხმელ დირკ კუიტზეც უჭირავთ.

რიოდერი: „ახალი ძლიერი თავდამსხმელის ყიდვა ძალიან ძნელი საქმეა და ამაში ძალიან ბევრი სხვა გუნდიც დამეთანხმება".

ობაფემი მარტინსის შეძენა „კაჭკაჭების" გარდა სურთ „ლივერპულს", „ტოტენჰემ ჰოთსპურს", „პორტსმუთს" და ესპანურ „ვალენსიას".

პაპუნა კედია

ადამიან-ჩემოდანს სომხეთი ჩააბარეს



იან პორტერფილდი

სომხეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად „ჩელსის", „შეფილდ უენსდისა" და „აბერდინის" ყოფილი თავკაცი იან პორტერფილდი დანიშნეს. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა.

60 წლის შოტლანდიელმა, რომელსაც „სანდერლენდში" და „შეფილდ უენსდიში" უთამაშია, სომხებთან კონტრაქტი 2007 წლის ბოლომდე გააფორმა. გარიგების ფინანსური მხარე კი უცნობია.

„ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი — ბრძანა შოტლანდიელმა — მჯერა, ჩემი გამოცდილება ნაკრებს ძალიან წაადგება და წინ წასწევს."

დანფერმლაინში დაბადებულმა პორტერფილდმა კარიერა „რეით როვერსში" დაიწყო, 1967-ში კი „სანდერლენდში" გადაბარგდა. 1973 წელს ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში მან „ლიდსს" გამარჯვების გოლი გაუტანა. 10 სეზონი გაატარა „სანდერლენდში" და მერე „შეფილდ უენსდიში" გადავიდა, სადაც მოთამაშეობას მწვრთნელობასაც უთავსებდა.

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას: 1986-88 წლებში „აბერდინში" იყო, 1988-91-ში — „რედინგში", ხოლო 1991-93 წლებში — „ჩელსიში".

მერე საზღვარგარეთ წავიდა და ზამბიის, საუდეთის და ზიმბაბვეს ნაკრებებს თავკაცობდა.

ინგლისში 1996-ში დაბრუნდა „ბოლტონის" მწვრთნელის თანაშემწედ. შემდეგ კი იყო ომანი, ტრინიდადი და ტობაგო და სამხრეთ კორეის კლუბი „ბურან იპარკი".

ირაკლი ნინიძე

ჰოსტჟოზეური ერა: ჟესუალდო მემძვსე იძნება



„პორტუს", რომელიც ერთი კვირის წინ ჰოლანდიელმა კო ადრიანსემ მოულოდნელად დატოვა, სავარაუდოდ, ჟესუალდო ფერეირა ჩაიბარებს. ფერეირა, თავის მხრივ, გუშინწინ გადადგა „ბოავიშტას" მწვრთნელობიდან.

პორტუგალიურ მედიას თუ ვენდობით, ფერეირა სწორედ ამიტომ წავიდა „ბოავიშტადან", რომ „პორტუს" თავკაცობა შესთავაზეს.

კო ადრიანსე მეხუთე მწვრთნელი იყო პორტუელებისთვის მას შემდეგ, რაც ჟოზე მაურინიუს ხელში ჩემპიონთა ლიგა მოიგეს.

„პორტუს" ოფიციალურად ჯერ არაფერი გაუცხადებია, ხოლო „ბოავიშტას" ვებგვერდზე წერია: „კლუბის დირექტორატისა და მწვრთნელის შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ ჟესუალდო ფერეირა გუნდიდან წავა".

ბოავიშტელებს დროებით პედრო ბარნი უთავკაცებს, ხოლო პორტუგალიის ჩემპიონატი 25 აგვისტოს იწყება.

ირაკლი ნინიძე

ჩაძირული კანუ პორტში ამოყვინთავს

„პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, რომ „ვესტ ბრომვიჩიდან“ ნვანკო კანუს ტრანსფერი თითქმის მოგვარებულია და ნიგერიელი მის გუნდში ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი გახდება.

„ვესტ ბრომვიჩი“ პრემიერლიგიდან გასული სეზონში გავარდა, კანუს კი კლუბთან კონტრაქტი არ გაუხანგრძლივებია და პორტელებს უფასოდ მიჰყავთ. მოკლედ, ნიგერიელი კვლავ პრემიერლიგაში ბრუნდება.

„ყველაფერი მოგვარებული და შეთანხმებულია. ახლა მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა — თქვა რედნაპმა — „ვესტბრომის“ მწვრთნელ ბრაიან რობსონისგან ვიცი, რომ კანუს უდიდესი პოტენციალი აქვს, გულმოდგინედ შრომა უყვარს და კარგი ხასიათის ბიჭია“.

ნიგერიელი, ცენტრფორვარდის კვალობაზე, გოლების რაოდენობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ „პორტსმუთის“ თავკაცს სჯერა, რომ მასთან კანუ გოლებს მოუხშირებს: „ჩემი გუნდი ყველანაირად დაეხმარება, რომ რაც შეიძლება მეტი გაიტანოს და შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს. მან ძალიან კარგი პასები იცის და ბურთსაც საუცხოოდ ფლობს. დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ლიდერი გახდება“.

„პორტსმუთში“ ნვანკო კანუს მისვლის შემდეგ, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაკარგავს ზიმბაბველი ფორვარდი ბენჟანი მვარუვარი, თუმც მის გაყიდვას არ აპირებენ. „სენტ ეტიენს“ სურდა ზიმბაბველის შეძენა, მაგრამ რედნაპმა თქვა: „მვარუვარის არ ვყიდით“.

ვაჟა ხუციშვილი

ერთფეხა ბიბლიოთეკა

რუნი და სქოულზი შესავალს გამოტოვებენ

პრემიერლიგა ჯერ არ დაწყებულა, უეინ რუნისა და პოლ სქოულზს კი უკვე სამ-სამ მატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებმა 4 აგვისტოს, ამსტერდამის ტურნირზე, „პორტუსთან“ მატჩში წითელი ბარათები მიიღეს. ეს საქმე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა და ორივეს სასჯელი გამოუწერა. „მანჩესტერმა“ გაასაჩივრა, მაგრამ შეწყალებაზე უარი მიიღო.

რუნისა და სქოულზს კვირას, 20 აგვისტოს, პრემიერლიგის პირველ ტურში „ფულემთან“ თამაშის უფლება აქვთ, თუმც ფორვარდს მცირე ტრავმა აწუხებს. ხოლო მომდევნო სამ მატჩს — „ჩარლტონთან“, „უოტფორდთან“ და „ტოტენჰემთან“ — გამოტოვებენ.

ინგლისელი მიმომხილველები „პორტუსთან“ თამაშის მერე წერდნენ, სქოულზი გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ რუნი გასაგდები არ იყო და მსაჯმა მიჰქარაო.

უეინ რუნი სანაკრებო დონეზეც დასჯილია. მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიელი ფეხბურთელის ჩაწიხვლის გამო, ევრო 2008-ის ორ შესარჩევ მატჩში ინგლისს დააკლდება. 2 სექტემბერს ანდორასთან და 6 სექტემბერს მაკედონიასთან შეხვედრებში ვერ ითამაშებს.

ირაკლი ნინიძე

გრინი გაჩაქუჩდა

„ვესტ ჰემმა“ „ნორვიჩისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარე რობერტ გრინი 2 მილიონ გირვანქად შეიძინა.

26 წლის გრინმა, რომლის ყიდვა „ჩარლტონსაც“ სურდა, ლონდონელ „ჩაქუჩებთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვესტჰემელებმა განაცხადეს, რომ მეკარემ თითქმის ბოლომდე მოიშუშა საზარდულის ტრავმა, რომლის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა.

რობერტ გრინმა 241 მატჩი ითამაშა „ნორვიჩში“, რომლის აღზრდილიც გახლავთ.

„ვესტ ჰემში“ დიდებული ატმოსფეროა — განაცხადა მეკარემ — აქ არიან ბრწყინვალე ფეხბურთელები და მათ ახალგაზრდა ინგლისელი მწვრთნელი ჰყავთ. ამ გუნდში გადმოსვლით ინგლისის ნაკრებში დამკვიდრებას შევძლებ“.

გრინი მეექვსე ნორვიჩელი ფეხბურთელია კლუბის ისტორიაში, რომელსაც ინგლისის ნაკრებში უთამაშია. ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი 2005 წლის იანვარში, კოლუმბიასთან ამხანაგურ მატჩში შედგა. მაშინ შეცვლაზე შეუშვეს.

სვენ გორან ერიკსონს გრინის წაყვანა მუნდიალზეც სურდა, მაგრამ ბელარუსთან შეხვედრაში საზარდულის ტრავმა მიიღო და შინ დატოვეს. „ვესტ ჰემში“ მისი კონკურენტები არიან როი კეროლი და ჯიმი უოკერი, ხოლო შაკა ჰისლოპი ამ ზაფხულს ამერიკულ „დალასში“ გადავიდა.

რობერტ გრინს ინგლისის 16, 17 და 18-წლამდელთა ნაკრებებშიც უთამაშია.

ვაჟა ხუციშვილი

ჰარგრივსი ამოწურულია

გერმანიის ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა“ განაცხადა, რომ ინგლისელი ნახევარმცველის, ოუენ ჰარგრივსის გაყიდვას არ აპირებს, ამის თქმა კი ბავარიელებს იმიტომ დასჭირდათ, რომ დაირხა ხმები, თითქოს ჰარგრივსის შეძენით „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაინტერესდა.

„ჰარგრივსის შესახებ საუბარიც ვერ იქნება — განაცხადა „ბაიერნის“ მენეჯერმა ული ჰოინესმა — ოუენს ჩვენთან 2010 წლამდე აქვს კონტრაქტი და ეს ვადა ბოლომდე ამოიწურება. ერთი სიტყვით თემა ამოწურულია“.

კანადაში დაბადებული ჰარგრივსი 25 წლისაა. სწორედ მას უთქვამს გერმანული „კიკერის“ კორესპონდენტისთვის, რომ მისით ალექს ფერგიუსონი დაინტერესდა და რომ ეს „უბრალოდ ფანტასტიკურია“.

„ეს ამბავი მე განსაკუთრებით მაინტერესებს, ვინაიდან ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი გახლავართ. ადამიანმა ცხოვრებაში ბოძებული ყოველი შანსი უნდა გამოიყენო, ვინაიდან არასდროს იცი, როდის ჩაგივარდება მეორე შესაძლებლობა“ — უთქვამს ჰარგრივსს „კიკერისთვის“.

სხვათა შორის, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ახლახანს დასრულებული მუნდიალის საუკეთესო ინგლისელ ფეხბურთელად სწორედ ჰარგრივსი დაასახელეს.

ჰარგრივსი „ბაიერნში“ 1997 წლიდან არის. გერმანული „შპორტბილდის“ ცნობით მასში ერთი ინგლისური კლუბი (ადვილი მისახვედრია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედზეა“ საუბარი) 25 მილიონ ევროს იხდის. ცნობილია, რომ ამ მებრძოლ ნახევარმცველზე უარს არც „არსენალი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპური“ იტყოდნენ.

პაპუნა კვიტია

ახალზელანდიური კონტრაქტი



„ბლექბერნის“ ახალზელანდიელმა ფეხბურთელმა რაიან ნელსენმა კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ბოლო მოუღო ჭორებს „პორტსმუთში“ მის შესაძლო გადასვლაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კონტრაქტის დასრულებამდე ორი წელი ჰქონდა დარჩენილი, ნელსენს კლუბმა კარგი თამაში დაუფასა და კიდევ ოთხი სეზონით დატოვა „ბლექბერნში“.

ახალზელანდიელი გუნდში 2005 წელს, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და მწვრთნელი მარკ ჰიუზი მისით ძალიან კმაყოფილია.

„პორტსმუთმა“ სამჯერ სთხოვა „ბლექბერნს“ 28 წლის მცველი მომყიდეო, მაგრამ სამჯერვე უარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ „პორტსმუთი“ მილიონერმა არკადი გაიდამაკმა შეიძინა, კლუბს ფული გაუჩნდა და ამიტომაც სურდა ნელსენის გადაბირება.

პრემიერლიგა ზეგ იწყება და „ბლექბერნი“ „პორტსმუთს“ ხვდება.

ირაკლი ნინიძე

მომავალ ცხოვრებაში ტურამი რონალდინიო იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ლილიან ტურამი „იუვენტუსიდან“ „ბარსელონაში“ გადავიდა, კატალონიელთა გახარებულმა მწვრთნელმა რაიკარდმა აღნიშნა, მოედანზე საქმის კეთებისთვის შესანიშნავი პროფესიონალი, ხოლო მეგობრად დიდებული ადამიანი შევიძინეთო. „პროფესორი“ ტურამი მხიარული, გულღია კაცია, მსუბუქი გალური იუმორის მქონე და ცხოვრებისეულ სიძნელეებთან შეუპოვრად მებრძოლი. „კამპ ნოუს“ ფრანგ მცველს კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივოს“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— „ბარსა“ თქვენს შეძენას ჯერ კიდევ მაშინ აპირებდა, როცა „პარმაში“ თამაშობდით. თუმცა მაშინ „იუვენტუსში“ გადასვლა არჩიეთ. „კამპ ნოუზე“ მხოლოდ ახლა, ცნობილი იტალიური საფეხბურთო სკანდალისა და „იუვეს“ სანქციების შემდეგ გადმოხვედით...

— იმ პერიოდში მიახლოებით ვიცოდი, „ბარსას“ ჩემი შეძენა რომ სურდა, თუმც კატალონიელებს კონკრეტული სატრანსფერო წინადადებით არ მოუმართავთ. რაც შეეხება დღევანდელობას — ერთხელ „იუვეს“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა მითხრა, რომ „ბარსელონა“ „დე ლე ალპიდან“ სამი მოთამაშის წაყვანით იყო დაინტერესებული. იმ სამეულში მეც აღმოვჩნდი, „კამპ ნოუს“ გრანდთან კონტრაქტს ხელი მოვაწერე და ახლა „ბარსელონაში“ ყოფნით ძალიან კმაყოფილი ვარ. „იუვენტუსი“ კი სანქციებს იმსახურებდა. თუმცა არა ფეხბურთელები, არამედ კლუბის უფროსობა.

— როგორ ფიქრობთ, „ბარსაში“ ასე კარგად თავს რატომ გრძნობთ?

— ადაპტაციის პერიოდმა კარგად ჩაიარა, ყველანი მხიარულად ვართ, გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული. ერთიანობა კი ყველა წარმატების საწინდარია. ამიტომაც ვფიქრობ, რომ როგორც შინაურ პრიმერაში, ისე ჩემპიონთა ლიგაში მეტოქეებს ჩვენს დასამარცხებლად მიზერული შანსები ექნებათ... პირადად მე ერთი სული მაქვს, „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ ფორმით როდის ვითამაშებ.

— „ესპანიოლთან“ ესპანეთის სუპერთასზე სათამაშოდ მზად ხართ?

— დიდი ხანი არაა, რაც „ბარსელონაში“ გადმოვედი, თუმცა ნიუიორკში 45 წუთი ვიბურთავე და რაიმე პრობლემები არ მქონია. თუ მწვრთნელი დამავალებს, ხუთშაბათს აუცილებლად ვითამაშებ. თუმცა არც ის იქნება ჩემთვის კატასტროფა, რაიკარდმა მოედანზე მცველთა შარშანდელი ოთხეული რომ გამოიყვანოს — მათ წინა სეზონში თავი გამოიჩინეს და ბუნებრივი იქნება, მწვრთნელმა ძველ შეგირდებს ნდობა გამოუცხადოს.

— თქვენი ცხოვრებისეული ფილოსოფია ძალიან თავისებურია, სხვათაგან განსხვავებული...

— ასე ფიქრობთ? კარგი, თუ ხალხი ასე თვლის...

— თქვენნაირი მშვიდი პიროვნება ფეხბურთთან მეგობრობას როგორ ახერხებს? დიდი სპორტი ხომ მუდმივ შფოთს და აყალ-მაყალს უკავშირდება...

— ფეხბურთი ცხოვრებასავითაა და ჩემს შემთხვევაში ჩემი ცხოვრების ნაწილს შეადგენს. მე პიროვნება ვარ, თუმცა ამასთანავე ფეხბურთელიც. როგორც დიდ სპორტში, ისევე ცხოვრებაშიც შენი საქმე კარგად უნდა აკეთო, წარმატებისთვის მაქსიმუმი უნდა გაიღო და შეეცადო, იყო ბედნიერი იმით, რაც გაგაჩნია.

— საკვირველია, მცველი ხართ, საუკეთესო თავდამსხმელების წინააღმდეგ გითამაშიათ, ყვითელი და წითელი ბარათები კი უცხო ხილივითაა თქვენთვის (ტურამი საშუალოდ მატჩში 0,22 ბარათს იღებს). კი მაგრამ, რა არის ამის საიდუმლო? დასწრებაზე დროული თამაში?

— არა, მარტო დასწრება საქმეს არ ყოფნის. თუ ძლიერი ხარ, მეტოქე წესების დარღვევის გარეშე უნდა შეაჩერო.

— რაც ახლა თქვით, ამას ფეხბურთელი გამოცდილების მიღებასთან ერთად იძენს?

— არა. ამას ის გუნდი გაძლევს, სადაც თამაშობ და გრანდი ხდები. შენს გვერდით მყოფ დიდ ფეხბურთელებს პატივი უნდა სცე. არაა ლამაზი როცა დიდ გუნდში მოთამაშე მცველი მეტოქეებს დაუნდობლად ჩეხავს. უბრალოდ, „იუვეს“ ან „ბარსას“ შემადგენლობაში მყოფი უკანახაზელებისთვის უხეშობის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

— თქვენ ფეხბურთის მისიონერი ხართ?

— ამას ჩემი ბიოგრაფიის გამო მეკითხებით? ბავშვობიდანვე ღრმადმორწმუნე ვიყავი და მღვდლობაც მინდოდა. თუმცა ბედმა სულ სხვა გზით წამიყვანა.

— არ გინდათ, კარიერის მიწურულს მშობლიურ გვადალუპეში ითამაშოთ?

— გვადალუპეს გუნდი კონკაკაფის (ლათინური ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია) ჯილდოსთვის, „გოლდ კაპის“ ტურნირში მონაწილეობს. როცა პროფესიულ ფეხბურთს თავს დავანებებ, მშობლიური კუნძულის ნაკრებში ერთ მატჩს მაინც ვითამაშებ.

— ხშირად ამბობთ, რომ თქვენი შვილები რონალდინიოს ფანატიკოსი გულშემატკივრები არიან. რატომ უყვართ ბავშვებს ბრაზილიელი?

— რატომ უყვართ?! ხვდებით, რას მეკითხებით? იმიტომ არიან მთელი მსოფლიოს პატარები რონალდინიოზე გაგიჟებულები, რომ, როცა მას ხედავენ, ფეხბურთი უფრო ადვილი, სიხარულის მომტანი ეჩვენებათ... იმიტომ, რომ რონალდინიო სულ იცინის, ტექნიკურად ძლიერია და ფანტასტიკური გოლები გააქვს. ძალიან ბევრ ბავშვს უნდა, როცა გაიზრდება, „რონალდინიო“ გამოვიდეს.

— ლილიან ტურამსაც „რონალდინიობა“ უნდა?

— ჰოო... მომავალ ცხოვრებაში აუცილებლად! თუ მეტყვიან, რონალდინიოს და ტურამს შორის არჩევანი გააკეთეო, მე პირველს ავირჩევ — დღევანდელზე უფრო მხიარული ცხოვრება მექნება.

— როდესმე მოედანზე პოზიციის შეცვლაზე თუ გიფიქრიათ?

— რაც ზრდასრული ადამიანი გავხდი, არასდროს. ისე, ბავშვობაში, როგორც ყველას, თავდამსხმელობა მინდოდა, მაგრამ გოლები ვერ გამქონდა და უბნის ბიჭებმა დაცვაში დამწიეს, მაგ ადგილზე უფრო საჭირო ხარო.

— ლეგენდარულ ნელსონ მანდელას და გაეროს გენერალურ მდივან კოფი ანანს ხშირად ხვდებით. ახლა კი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად „ბარსელონაშიც“ ითამაშებთ. თავს პრივილეგირებულ ადამიანად თვლით?

— პრივილეგირებულ ადამიანად არა, თუმცა ვიტყოდი, რომ იღბალთან შენობით ვარ... ცხოვრებაში იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე მეტად მსიამოვნებს.

— რას იტყვით პუიოლის შესახებ ახლა, როცა იგი უკეთ გაიცანით?

— ჯერ მაინც მცირე ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს, თუმცა, რასაც ვხედავ, ის არის, რომ კარლეს პუიოლისთვის მოედანზე გუნდი ყველაფერზე მაღლა დგას. ლომივითაა. საერთოდ, ფეხბურთელს თამაშის სტილზე ეტყობა, ცხოვრებაში რა ადამიანიცაა. ბურთაობ ისე, როგორც ამას შენი ხასიათი გკარნახობს, „მსახიობებს“ კი ნამდვილ ფეხბურთში არ უმართლებთ.

— თქვენი აზრით, დაცვის ცენტრში პუიოლ-ტურამის ტანდემი მეტოქეებს შიშის ზარს დასცემს?

— მთავარია, იმათ მუხლი არ აუკანკალდეთ და მნიშვნელობა არ აქვს, პუიოლის გვერდით ტურამი იქნება, რაფაელ მარკესი, ედმილსონი თუ სხვა რომელიმე ბარსელონელი. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მწვრთნელის განკარგულებაში იყოს გუნდი, რომლის თითოეული მოთამაშე მზად არის ბოლომდე საბრძოლველად.

— თანამედროვეობის საუკეთესო მცველად ვის აღიარებთ?

— ძნელია ამის თქმა. „ბარსას“ უკანახაზელებზე რომ არაფერი ვთქვათ (ამ ხალხის დიდი დამსახურებაა, კატალონიურმა გუნდმა რომ ორჯერ ზედიზედ ესპანური პრიმერა და 2006-ის ჩემპიონთა ლიგა მოიგო), ფაბიო კანავაროს ოსტატობა მომწონს, მასთან ერთად 10 წელი ვითამაშე და მსგავსი მცველები იშვიათად შემხვედრია. ასევე აღსანიშნავია „რეალის“ სერხიო რამოსიც. მადრიდელს დიდი მომავალი აქვს, თუ რამემ ხელი არ შეუშალა, რა თქმა უნდა.

— 34 წლისა, ბიჭივით გამოიყურებით. „მარადიული“ ახალგაზრდობის საიდუმლოს არ გაგვიმხელთ?

— რა 34, ჯერ მხოლოდ 25 წლის ვარ... ეს ხუმრობით, ისე კი ბუნებამ მართლა კარგი ჯანით დამაჯილდოვა. თუმც ღმერთის ბოძებულს შენც უნდა მოუარო.

— თქვენს ასაკში დაცვის ცენტრში უფრო მოსახერხებელია თამაში, თუ ფლანგზე, ფრანკ რაიკარდს უკვე ესაუბრეთ ამის შესახებ?

— არა, არ გვისაუბრია. მაგრამ, მგონი, მთელმა მსოფლიომ იცის, თამაში უკეთ სად მეხერხება.

— რას შესთავაზებს ლილიან ტურამი ჩემპიონ „ბარსას“?

— პირად გამოცდილებას და თამაშის ჩემებურ სტილს.

— ლეო მესიზე რას გვეტყვით?

— არ დაგიმალავთ და არგენტინელს ნაკლებად ვიცნობ, თუმცა „ბარსაში“ სხვაზე მეტად მიიპყრო ჩემი ყურადღება — 19 წლისაა და ბურთით სასწაულებს ახდენს. თუ ასე გააგრძელა, მსოფლიოსაც ბურთივით აათამაშებს...

— სამუელ ეტოოსთან რანაირი ურთიერთობა გაქვთ? აფრიკელი, ისევე, როგორც თქვენ, რასიზმის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლია...

— ეტოოს კარგა ხანია ვიცნობ. მეგობრები ვართ.

— არსებობს დღეს მსოფლიოში კამერუნელზე ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელი?

— ნამდვილად არ არსებობს. ამას ბარსელონელობის გამო არ გეუბნებით, ადრეც ასე ვფიქრობდი. მიუხედავად ჯილდოებისა, მსოფლიო ეტოოს მაინც ნაკლებად აფასებს — იგი განუმეორებელი ფორვარდია. სწრაფია, ფიზიკურად ძლიერი და მეტოქის მცველთათვის „სასიკვდილო“ ტექნიკას ფლობს.

— რონალდინიო-ეტოო-მესი — ეს მსოფლიოს თავდამსხმელთა საუკეთესო სამეულია?

— მოდით, ფეხბურთს სამეულებად ნუ დავყოფთ, მთავარი თავად გუნდია. ისე კი ძნელია, ხსენებულ ხალხზე უკეთესი მოიერიშეების ჩამოთვლა.

— ლუდოვიკ ჟიული მუნდიალზე ვერ მოხვდა. ეს ნორმალურ მოვლენად მიგაჩნიათ?

— უცნაურ მოვლენად მიმაჩნია. ჟიულის ოსტატობას რომ შევეშვათ, ეროვნულ გუნდში მარტო „ბარსას“ ფეხბურთელობისთვის უნდა მიგიწვიონ. მაგრამ ნაკრების მწვრთნელმა რატომღაც სხვანაირად გადაწყვიტა...

— აბრამოვიჩზე თქვენი აზრი მაინტერესებს. ასეთი პერსონაჟი ფეხბურთისთვის კარგია თუ ცუდი?

— ცუდი რატომ უნდა იყოს? ფეხბურთი ვაჭრობაა — პატარა გუნდები საშუალო ფეხბურთელებს ყიდულობენ. „ჩელსისნაირი“ მდიდარი გრანდი კი ძლიერებს ეტანება. რა ქნას აბრამოვიჩმა, ფული აქვს და ხარჯავს.

ბედზე გამარჯვება

სინათლე გვირაბში

ასე ვცხოვრობდით — ლუის ვან გაალი მკაცრ სათამაშო სქემებზე იყო გადამკვდარი და ერთს რომ იტყოდა, რივალდო ცენტრში კი არა, მარცხენა ფლანგზე ვათამაშოთო, მოკვდებოდა და არ გადათქვამდა. არც მე ვუთმობდი და დაპირისპირებით ვიტანჯებოდი — რა ვქნა, ეს ოხერი იუმორის გრძნობა არ გამაჩნია. სხვა ამ ამბისგან კომედიას შექმნიდა, ჩემთვის კი ნამდვილი ტრაგედია გახლდათ — მწვრთნელს დღე და ღამ ვეჩჩინებოდი, მოედანზე თავისუფლება მომეცი და მეტოქეს ბუცებიანად შევჭამ-მეთქი, ჰოლანდიელი კი ჯიქურ მეწინააღმდეგებოდა... მადლობა ღმერთს, ერთხელ ექსპერიმენტის სახით, როგორც მინდოდა, ისე მათამაშა. იმ მატჩში (აღარ მახსოვს, ვის ვერკინებოდით) მეტოქე უბრალოდ, გავაცამტვერეთ. შემდეგ ამას ბრწყინვალე გამარჯვებების სერია მოჰყვა.

ვან გაალმა რასაკვირველია, გამარჯვება თავის თავს მიაწერა, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ რატომღაც ისევ სწორხაზოვან სქემებს დავუბრუნდით და ჩვენს შორის პოლემიკაც განახლდა. გიჟივით ვიყავი, ჰოლანდიელის სიჯიუტეს ვერაფერს ვუხერხებდი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ძირითადს ვინ ჩივის, განაცხადში

ყოფნაც სანატრელი გამიხდა. ეს აღარ უნდა გაგრძელდეს — ვუთხარი ერთ დღეს ჩემს თავს და პრესასთან „ფეთქებადი" პრესკონფერენციისთვის მოვემზადე. წარმოიდგინეთ, „მალიორკასთან" მატჩში მარცხენა ფლანგზე მთელი პირველი ტაიმი ცხენივით ვირბინე, მაგრამ რახან ჩვეულ პოზიციაზე არ ვიყავი, გუნდს ვერაფრით დავეხმარე.ტაიმი დასრულდა, დანა კბილს არ მიხსნის და ვან გაალი კი გინდ დაიჯერეთ, გინდ არა... ქების სიტყვებს მეუბნება! შესვენების შემდეგ მოედანზე ფეხი ისე შევდგი, თითქოს გილიოტინის ფიცარნაგზე მივდიოდი. მწვრთნელმა ჩემი გახევება შენიშნა და მსწრაფლ შემცვალა...

სკანდალს ერთ-ერთი მეგობრის ჭკვიანური რჩევის წყალობით ავცდი. შეიძლება, საკუთარი სიბრძნეც დამეხმარა. როცა 28 წლის ხარ, უკვე ხვდები, რომ მუდმივად ამბოხთან ერთად განკიცხულის პოზიციასაც უნდა შეეჩვიო. ვან გაალთან გამუდმებული ჩხუბის მერე „რბილად" ფიქრიც დავიწყე — ბოლოს და ბოლოს, რას ჩავაცივდი ამ ადამიანს. ვინ ვარ მე? მაღალანაზღაურებადი, მაგრამ მაინც დაქირავებული მუშაკი, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა საჭიროების შემთხვევაში სტადიონის გაზონის მკრეჭავადაც შეიძლება გადაიყვანოს...

ამას მხოლოდ ვფიქრობდი, საქმით კი იგივეს ვაკეთებდი — მთელი გუნდის თანდასწრებით დაჟინებით ვამტკიცებდი, რომ მწვრთნელი ცდება, რომ თუ შესაფერის პოზიციას მომცემენ, საქმე კარგად წავა და ასე შემდეგ. მგონი, ჩემი ნათქვამიდან ნათლად ჩანდა, მარტო საკუთარი წარმატებისთვის რომ არ ვიბრძოდი — ფეხბურთში ჩემთვის მთავარი იყო და რჩება გუნდური წარმატება.

ლუის ვან გაალი კი უცნაურად მოქმედებდა. ტყუილი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ცენტრში არ მაყენებდნენ, დამრიგებელი ამის საშუალებას მაძლევდა, მაგრამ...

„ბარსას" თავდასხმის ცენტრს მარტო მაშინ მაბარებდნენ, როცა ქვეყნის ჩემპიონატში კლასით გაცილებით დაბლა მდგომ გუნდებს ვხვდებოდით. ეს ხალხი ფეხბურთს არ თამაშობდა. რაც გინდათ, ის მიწოდეთ, მაგრამ ტექნიკურად და ფიზიკური ძალით ჩამორჩენილი მეტოქე „ბარსასთან" მთელი გუნდით დაცვაში იდგა და უმოწყალოდ გვიბრახუნებდა ფეხებში — ხან ერთი ჩვენიანი ეგდო მოედანზე ტკივილისგან გათანგული და ხან მეორე... ამნაირ მოწინააღმდეგესთან რა უნდა მექნა?! წაგების შემდეგ კი მწვრთნელი კარგადაც ხვდებით, ვის აბრალებდა გუნდის წარუმატებლობას...

პირში წყალს არც მე ვიგუბებდი. ინტერვიუებში ვამბობდი, რომ „ბარსამ" მორიგი თამაში არა რივალდოს, არამედ მეტოქის ფეხების გამო წააგო — თამაშის ნაცვლად წელზე გადაგვიარეს... ჟურნალისტები უნდობლად მიყურებდნენ და მეც მომდევნო მატჩისთვის გააფთრებით ვემზადებოდი. საღღა იყო ტექნიკური და დახვეწილი რივალდო, მოწინააღმდეგის მცველებს „ბარსელონას" მეთერთმეტე ნომრად გაბოროტებული ტაისონი მოევლინათ... ისინი მირტყამდნენ, მე ხურდას ვუბრუნებდი და ვიყავით ასე სიამტკბილობაში...

დღესაც არ ვიცი, ლუის ვან გაალს ჩემი სჯეროდა თუ არა. მეუბნებოდა, რომ რივალდოში მსოფლიოს საუკეთესო გარემარბს ხედავს და საჭიროების მიხედვითაც მიყენებს... ჟურნალისტებს კი ეფიცებოდა, ცხოვრებაში ასეთი განაპირა ფორვარდი არ მინახავს და როგორც კი მარცხენა ფლანგზე მის შემცვლელს მოვძებნი, წამსვე რივალდოს თავდასხმის ცენტრში გადავიყვანო. მე ამ დროს მედიასთან ჩემს სიმართლეს ვამტკიცებდი.

ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ლუის ვან გაალის გადადგომით დასრულდა. ჰოლანდიელმა წასვლის წინ მაინც კბილი გამკრა — „მე იმ ფეხბურთელს ვენდობოდი, რომელიც ამის ღირსი არ იყო. სახელს ახლა არ გეუბნებით, თუმცა ყველამ მშვენივრად იცით, ვის ვგულისხმობ" — განაცხადა „ბარსას" ექსთავკაცმა თავის ბოლო კატალონიურ პრესკონფერენციაზე. დიპლომატიას მოვუხმე და პასუხისგან თავი შევიკავე.

ლუისის გადადგომა 1999 წელს ზედიზედ ორ წაგებულ მატჩს მოჰყვა. ჯერ „მალიორკასთან" ხოლო შემდეგ „ოვიედოსთან" დავმარცხდით. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიც „ვალენსიას" დავუთმეთ... ლიგაზე მე არ მითამაშია, „ვალენსიასთან" მატჩამდე ვარჯიშზე ტრავმა მივიღე და ექიმთან თათბირის შემდეგ ვან გაალს ვუთხარი, მოედანზე ვერ გამოვალ-მეთქი. კი, ტკივილგამაყუჩებელი ნემსებისთვის ადრეც მიმიმართავს, მაგრამ იმ მომენტში ტრავმა ძალიან სერიოზული იყო და შეიძლებოდა, კარიერაც დამესრულებინა. ჰოლანდიელი კი მთხოვდა, მოედანზე თუ არ გამოხვალ, განაცხადში ყოფნაზე მაინც თანხმობა მითხარიო. ხვდებით, რა უნდოდა? რივალდო თუნდაც სათადარიგოთა სკამზე რომ ყოფილიყო, ვალენსიელებთან შესაძლო მარცხს (რაც მართლა ასე მოხდა) მე დამბრალებდა. ცხოვრებაში ერთი კეთილი სიტყვა არ მსმენია ლუის ვან გაალისგან...

გაგრძელება იქნება

წყლით საწყალი

ექიმმა გუნიამ ლოპესი მზეთუნახავობა გამოუცხადა

რიო დე ჟანეიროში, ლეგენდარულ „მარაკანაზე", სამწუხარო ამბავი მოხდა: „ბოტაფოგოს" მეკარე ლოპესი საშხაპეში დაიმდურლა და ახლა, სულ მცირე, ერთი თვით მოუწევს მკურნალობა. ეს კვირას იყო, „ბოტაფოგოსა" და „პალმეირასის" მატჩის შემდეგ, როდესაც ნაჯაფარმა ფეხბურთელებმა წყლის გადავლება განიზრახეს, მაგრამ ამაოდ, სისტემაში ცხელი წყალი არა და არ წამოვიდა.

„უცბად სახეში ქაფქაფა წყლის დიდი ნაკადი მომესხა. თავის არიდება ვეღარ მოვასწარი" — დაწერა დაზარალებულმა ლოპესმა საკუთარ ვებგვერდზე.

„ბოტაფოგოს" ექიმმა მარსიუ გუნიამ განაცხადა, რომ ფეხბურთელს მეორე ხარისხის დამწვრობა აქვს და იგი მზის სხივებს 30-40 დღის მანძილზე უნდა ერიდოს, საკუთრივ ლოპესი კი აპირებს, თავის კლუბს სტადიონის მეპატრონის, რიო დე ჟანეიროს მუნიციპალიტეტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეატანინოს.

პაპუნა კედია

პირველი პროფის სიკვდილი

მშობლიურ როტერდამში 82 წლისა გარდაიცვალა პროფესიული ჰოლანდიური ფეხბურთის პიონერი ფაას ვილკესი. ის გახლდათ ჰოლანდიელთაგან პირველი, რომელმაც ფეხბურთი თავის ოფიციალურ პროფესიად აქცია. ეს მოხდა 1949 წელს, როდესაც ფაას ვილკესმა მილანის „ინტერთან" გააფორმა კონტრაქტი. მანამდე იგი როტერდამის „ქსერქსეში" თამაშობდა.

„ინტერის" მაისურით ფაას ვილკესმა 100 შეხვედრაში 47 გოლი გაიტანა, სამი წლის შემდეგ კი „ტორინოში" გადაბარგდა, საიდანაც ბოლოს ესპანურ „ვალენსიაში" ამოჰყო თავი. მისი იტალიაში გადაბარგება და ფეხბურთელის პროფესიის მიღება ჰოლანდიაში დიდი ბიძგის საბაბად იქცა — ვილკესი ბოლოს ისევ სამშობლოში დაბრუნდა და ჯერ „ფორტუნა 54-ში", ხოლო შემდეგ ძველ „ქსერქსეში" ითამაშა, ბურთის დევნას კი თავი 40 წლისამ დაანება.

ის იყო დახვეწილი სტილის თავდამსხმელი თვალსაჩინო დრიბლინგით და ბურთის კონტროლის უნარით. ნაკრებში პირველად 1946 წელს ითამაშა, საბოლოოდ კი „ორანიე" 39 შეხვედრაში გატანილი 35 გოლით დატოვა. მეტიც შეეძლო, მაგრამ 1949-1956 წლებში ეროვნულ გუნდში თამაში აკრძალული ჰქონდა. მიზეზი მისი პროფესიონალობა გახლდათ.

პაპუნა კედია

სარგებელი ½ კრიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		19 აგვისტო						
15:45	1	შეფილდი-ლივერპული	6.00	3.60	1.55	2.25	1.23	1.08
18:00	2	არსენალი-ასტონ ვილა	1.25	4.70	12.00	1.00	1.13	3.37
20:15	3	ბოლტონი-ტოტენჰემი	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
18:00	4	ევერტონი-უოტფორდი	1.65	3.40	5.30	1.11	1.25	2.07
18:00	6	ნიუკასლი-უიგანი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
18:00	7	პორტსმუთი-ბლეკბერნი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
18:00	8	რედინგი-მიდლსბრო	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	9	ვესტ ჰემი-ჩარლტონი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
		20 აგვისტო						
16:30	5	მანჩესტერი-ფულემი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
19:00	10	ჩელსი-სიტი	1.20	5.60	13.00	1.00	1.09	3.91
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		18 აგვისტო						
22:45	11	ქოვენთრი-ლესტერი	1.95	3.20	3.55	1.21	1.25	1.68
		19 აგვისტო						
18:00	12	ბარნსლი-საუთჰემპტონი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
18:00	13	ბირმინგემი-კრისტალ პალასი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	14	ბარნლი-ვულვერჰემპტონი	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
18:00	15	დერბი-ნორვიჩი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	16	იფსვიჩი-ჰალი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
18:00	17	ლიდსი-კარდიფი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
18:00	18	ლუტონი-სტოკი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	19	პლიმუთი-უენსდი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
18:00	20	პრესტონი-ქპრ	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18:00	21	საუთენდი-სანდერლენდი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
18:00	22	ვესტ ბრომვიჩი-კოლჩესტერი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		ინგლისი. I ლიგა						
		19 აგვისტო						
18:00	23	ბორნმუთი-ჩელტენემი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	24	ბრენტფორდი-ჰადერსფილდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	25	ბრისტოლი-ბლეკპული	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
18:00	26	კარლაილი-ლეიტონი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
18:00	27	ქრიუ-ბრედფორდი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
18:00	28	ჯილინგემი-ნორთჰემპტონი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
18:00	29	მილუოლი-ოლდემი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	30	ნოტინგემი-ბრაიტონი	1.65	3.30	4.80	1.10	1.22	1.95
18:00	31	პორტ ვეილი-ჩესტერფილდი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
18:00	32	როტერჰემი-სკანთორპი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
18:00	33	სუონსი-დონკასტერი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
18:00	34	ტრანმერი-იოვილი	1.85	3.10	3.90	1.15	1.25	1.72
		ინგლისი. II ლიგა						
		18 აგვისტო						
22:45	38	გრიმსბი-მენსფილდი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
22:45	45	სტოკპორტი-აკრინგტონი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
		19 აგვისტო						
18:00	35	ბარნეტი-პერეფორდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
18:00	37	დარლინგტონი-სუინდონი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	39	პარტლპული-ტორკი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	40	ლინკოლნი-უოლსოლი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	41	დონსი-როუერსი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
18:00	42	პიტერბრო-მაკლსფილდი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
18:00	43	როხდეილი-ნოტსი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
18:00	44	შრიუსბერი-ბოსტონი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	46	უიკომბი-ბერი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
		20 აგვისტო						
15:00	36	ჩესტერი-რექსემი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		19 აგვისტო						
18:00	71	დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
18:00	72	ფოლკირკი-კილმარნოკი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	73	პიბერნიანი-მოხერუელი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
18:00	74	რეინჯერსი-პართსი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
15:30	75	სტ.მირენი-აბერდინი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		20 აგვისტო						
17:00	76	ინვერნესი-სელტიკი	8.50	4.50	1.30	2.94	1.12	1.00
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
18:00	77	ერდრი-ქუინი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	79	ერეტნა-როსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
18:00	80	ლივინგსტონი-პარტიკი	1.75	3.40	3.70	1.15	1.18	1.77
18:00	81	სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
		20 აგვისტო						
18:00	78	დანდი-კლაიდი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		19 აგვისტო						
18:00	82	კოუდენბითი-ბრეჩინი	1.80	3.40	3.70	1.17	1.21	1.77
18:00	83	ფორფარი-ალოა	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
18:00	84	მორტონი-ეარი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
18:00	85	პიტერჰედი-რეითი	1.65	3.60	4.20	1.13	1.18	1.93
18:00	86	სტირლინგი-სტრანრარი	2.30	3.30	2.60	1.35	1.22	1.45
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		19 აგვისტო						
18:00	87	ბერიკი-სტენპაუსმური	2.50	3.30	2.40	1.42	1.22	1.38
18:00	88	ისტ ფაიფი-არბროთი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
18:00	89	ისტ სტირლინგი-ალბიონი	2.45	3.30	2.45	1.40	1.22	1.40
18:00	90	მონტროუზი-ელგინი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
18:00	91	ქუინს პარკი-დამბარტონი	2.70	3.30	2.25	1.48	1.22	1.33
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		18 აგვისტო						
22:30	92	ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი	1.90	3.20	3.85	1.19	1.27	1.74
		19 აგვისტო						
17:30	93	ალემანია-შალკე	3.80	3.40	1.85	1.79	1.24	1.19
17:30	94	კოტბუსი-ჰამბურგი	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
17:30	95	დორტმუნდი-მაინცი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
17:30	96	აინტრახტი-ვოლფსბურგი	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
17:30	97	ჰერტა-ჰანოვერი	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
17:30	98	ვერდერი-ლევერკუზენი	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
		20 აგვისტო						
19:00	99	არმინია-შტუტგარტი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
19:00	100	ბოხუმი-ბაიერნი	5.00	3.50	1.65	2.05	1.24	1.12
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		18 აგვისტო						
20:00	102	კარლ ცაისი-ბრაუნშვაიგი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
20:00	103	ჰანსა-აუე	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
20:00	104	მიუნხენი 1860-ოფენბახი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		20 აგვისტო						
16:00	105	კობლენცი-ფიურტი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
16:00	106	კიოლნი-ბურგჰაუზენი	1.45	3.80	6.30	1.04	1.17	2.37
16:00	107	პადერბორნი-აუსბურგი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
16:00	108	ესენი-ფრაიბურგი	2.70	3.10	2.35	1.44	1.25	1.33
16:00	109	უნტერჰახინგი-დუისბურგი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
		21 აგვისტო						
22:15	110	კარლსრუე-კაისერსლაუტერნი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		19 აგვისტო						
21:30	130	რიდი-ალტახი	1.80	3.20	4.10	1.15	1.25	1.79
21:30	131	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
21:30	132	შტურმი-აუსტრია	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
21:30	133	ტიროლი-პაშინგი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		20 აგვისტო						
21:30	129	რაპიდი-ვრაცერი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		19 აგვისტო						
19:45	140	ლუცერნი-შაფჰაუზენი	1.90	3.30	3.55	1.20	1.23	1.71
19:45	141	ციურიხი-ვრასპოერი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		20 აგვისტო						
18:00	142	აარაუ-იანგ ბოიზი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23
18:00	143	სიონი-ბასელი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		21 აგვისტო						
21:45	454	თ'ენი-სტ.ვალენი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		17 აგვისტო						
21:45	147	ი'ვენტ'უსი-კონკორდია	2.35	3.20	2.50	1.35	1.21	1.40
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
19:15	153	ოსერი-მარსელი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
22:00	154	ლე მანი-ვალენსიენსი	1.85	2.90	4.90	1.12	1.34	1.82
22:00	155	ლანსი-ლორიანი	1.70	3.20	5.30	1.11	1.28	1.99
22:00	156	ნანტი-ტრ'უა	1.70	3.20	5.30	1.11	1.28	1.99
22:00	157	პსჟ-ლილი	2.40	2.90	2.85	1.31	1.30	1.43
22:00	158	რენი-მონაკო	2.35	2.90	3.00	1.29	1.31	1.47
22:00	159	სედანი-სოშო	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
22:00	160	სტ.ეტიენი-ნანსი	2.10	2.90	3.70	1.21	1.33	1.62
		20 აგვისტო						
20:00	161	ტ'ულ'�ი-ნიცა	2.15	2.90	3.50	1.23	1.33	1.58
23:00	162	ბორდო-ლიონი	3.00	2.90	2.40	1.47	1.33	1.31
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		18 აგვისტო						
22:00	164	აიაჩო-'�ატორ'ე	1.85	2.90	4.20	1.12	1.28	1.71
22:00	165	ბრესტი-მეცი	3.10	2.80	2.30	1.47	1.32	1.26
22:00	166	კაენი-ბასტია	2.25	2.80	3.10	1.24	1.30	1.47
22:00	167	ვრენობლი-ტრ'უა	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
22:00	168	ვენიონი-ამიენი	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
22:00	169	ისტრი-ნიორი	2.10	2.80	3.50	1.20	1.31	1.55
22:00	170	ლე ავრი-კრეტეი	1.90	2.90	4.10	1.14	1.29	1.69
22:00	171	ლიბო'ურნე-დიჟონი	2.65	2.70	2.70	1.33	1.33	1.35
22:00	172	რეიმსი-მონპელიე	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
22:30	173	სტრასბ'ური-ვენგამი	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
		ბელგია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
20:00	174	ვენჯი-სტანდარდი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
22:00	175	ბრი'უგე-ბეგერენი	1.25	4.70	9.50	1.00	1.10	3.14
22:00	176	'�'ალერ'ეა-სერკლი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
22:00	177	ბრი'უსელი-სტ.ტრ'უიდენი	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
20:00	178	ბეერსხოტი-მონსი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
20:00	179	მ'ულ'ირონი-რ'ენელარე	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
22:00	180	ვარეგემი-ლიერსი	1.75	3.40	4.10	1.15	1.22	1.85
		20 აგვისტო						
20:00	181	ვესტერლო-ანდერლეხტი	3.70	3.30	1.85	1.74	1.23	1.18
22:30	182	ლოკერენი-ვენტი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		18 აგვისტო						
22:15	183	სპარტა-ვიტესი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
		19 აგვისტო						
21:30	184	დენ ჰაგი-ჰერენვენი	2.70	3.30	2.25	1.48	1.22	1.33
21:30	185	ტილბ'ურგი-'უტრეხტი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
22:00	186	ექსელსიორი-როდა	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
22:00	188	ალკმაარი-ბრედა	1.35	3.80	8.50	1.00	1.16	2.62
		20 აგვისტო						
16:30	187	აიაქსი-ვალვაიკი	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24
16:30	189	ვრონინგენი-ფეიენოორდი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
16:30	190	ჰერაკლესი-ტვენტე	2.55	3.30	2.40	1.43	1.23	1.38
16:30	191	პსვ-ნაიმეგენი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		18 აგვისტო						
22:00	192	კამბ'ური-ვეენდამი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
22:00	193	ეინდჰოვენი-როზენდალი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
22:00	194	ემენი-აპელდორნი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
22:00	195	იგლსი-სიტარდი	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
22:00	196	მაასტრიხტი-ვენლო	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33
22:00	197	ალმერე-დენ ბოსი	3.20	3.30	1.95	1.62	1.21	1.22
22:00	198	ტელსტარი-ჰელმონდი	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33
22:00	199	ოსი-ჰაარლემი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
22:00	200	ვოლენდამი-ვრააფსხაპი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
22:00	201	ზვოლე-დორდრეხტი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
		საბერძნეთი						
		19 აგვისტო						
22:00	212	აეკ-პაოკ	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
20:00	219	ოლიმპიაკოსი-ქანთი	1.25	4.50	9.50	1.00	1.10	3.05
		20 აგვისტო						
20:00	213	ერგოტელისი-იონიკოსი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
20:00	214	აკრომიტოსი-ოფი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
20:00	215	ეგალეო-პანათინაიკოსი	4.60	3.30	1.65	1.92	1.21	1.10
22:00	216	ირაკლისი-პანიონიოსი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
20:00	217	კერკირა-კალამარია	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
22:00	218	ოლიმპია-არისი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
		თურქეთი						
		19 აგვისტო						
21:00	220	ანკარა-ერჯიესი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
22:30	223	ფენერბაჰჩე-რიზე	1.17	5.50	12.00	1.00	1.06	3.77
20:00	228	მანისა-გალათასარაი	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 აგვისტო						
21:00	221	ბ'ურსა-ვენჩლერბირლიგი	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
22:30	222	დენიზლი-ბეშიქთაში	4.30	3.30	1.75	1.86	1.24	1.44
20:00	224	გაზიანთეფი-ტრაბზონი	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
21:00	225	კაისერი-ანკარაგი'უჯი'ე	1.70	3.40	4.40	1.13	1.26	1.91
21:00	226	კონია-ანტალია	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
21:00	227	სივასპორი-საკარია	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
		რუსეთი						
		19 აგვისტო						
16:00	229	ცსკა-ნალჩიკი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
12:00	230	ენერგია-სპარტაკი	2.90	2.80	2.40	1.42	1.31	1.29
16:00	231	კრილია-ლოკომოტივი	2.65	2.70	2.70	1.33	1.33	1.35
16:00	233	'შინიკი-დინამო	2.80	2.80	2.50	1.39	1.32	1.32
		20 აგვისტო						
16:00	232	სატურნი-'სენიტი	2.60	2.70	2.80	1.32	1.34	1.37
16:00	234	ამკარი-მოსკოვი	2.70	2.70	2.65	1.35	1.33	1.33
16:00	235	როსტოვი-რ'უბინი	2.50	2.70	2.90	1.29	1.34	1.39
16:00	236	ტომსკი-ტორპედო	1.80	3.10	3.90	1.13	1.23	1.72
		სლოვაკეთი						
		18 აგვისტო						
22:00	254	სინეკი-ბ.ბისტრიცა	2.50	2.90	2.65	1.34	1.28	1.38
		19 აგვისტო						
19:00	255	ნიტრა-ინტერი	1.80	3.10	3.85	1.13	1.22	1.71
22:00	256	კოშიცე-რ'�ომბეროკი	2.45	3.00	2.55	1.34	1.24	1.37
22:00	257	სლოვანი-დ'უბნიცა	1.85	3.10	3.75	1.15	1.23	1.69
22:00	258	ტრენჩინი-ტრნავა	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
		20 აგვისტო						
12:30	259	პეტრ'ალკა-'ილინა	2.05	3.00	3.30	1.21	1.26	1.57
		დანია. სუპერლიგა						
		19 აგვისტო						
19:00	266	ვეილე-კოპენჰაგენი	8.00	4.20	1.35	2.75	1.15	1.02
		20 აგვისტო						
17:00	267	ოლბორგი-რანდერსი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
17:00	268	ესბიერგი-მიდტ'ულანდი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
17:00	269	ოდენსე-ნორდსიელანდი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
17:00	270	სილკებორგი-ჰორსენსი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
20:00	271	ბრონდბი'ე-ვიბორგი	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		20 აგვისტო						
20:00	281	ალეს'უნდი-მოსი	1.45	3.90	6.50	1.05	1.18	2.43
20:00	282	ბოდიო გლიმტი-პიონეფოსი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
20:00	284	ჰა'კეს'უნდი-სონგდალი	2.50	3.30	2.55	1.42	1.26	1.43
20:00	285	კონსვინგერი-პიოდი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	286	პორს გრენლანდი-ლოვ პამი	1.85	3.70	3.40	1.23	1.19	1.77
20:00	287	სტრიომსგოდსეტი-მანგლერ'უდი	1.25	5.10	8.50	1.00	1.08	3.18
20:00	288	ტრომსდალენი-სპარტა ს	2.10	3.70	2.75	1.33	1.19	1.57
		შვედეთი. ალსვენსკა						
		19 აგვისტო						
18:00	289	ი'ურგორდენი-კალმარი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
		20 აგვისტო						
19:00	290	პეკენი-მალმიო	3.20	3.30	2.10	1.62	1.26	1.28
		21 აგვისტო						
21:00	291	ვეფლე-აიკ	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30
21:00	292	იორგრიტე-ვაის	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
21:00	293	იოსტერსი-ვიოტებორგი	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
		ირლანდია						
		18 აგვისტო						
22:45	311	ბოჰემიანი-'შელბ'ურნი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
22:45	312	კორკი-დერი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
22:45	313	სტ.პატრიკსი-ლონგფორდი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
22:45	314	'ujტერფორდი-დროგედა	5.10	3.30	1.60	2.00	1.21	1.07
22:45	315	სლიგო-ბრეი	1.55	3.30	5.50	1.05	1.20	2.06
		ბრაზილია						
		17 აგვისტო						
23:45	360	სანტოსი-კრ'ეხეირო	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
23:45	363	პალმეირასი-ჟ'ეენტ'ედი	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
		ესპანეთი. სუპერთასი						
		17 აგვისტო						
23:45	388	ესპანიოლი-ბარსელონა	5.00	3.30	1.65	1.98	1.24	1.10
		პორტუგალია. სუპერთასი						
		19 აგვისტო						
23:45	453	პორტ'უ-სეტ'უბალი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
		ნორვეგია. თასი						
		19 აგვისტო						
18:00	393	ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
		20 აგვისტო						
18:00	390	ფოლო-სანდეფიორდი	7.00	4.30	1.35	2.66	1.13	1.02
21:00	391	სტარტი-ლილესტრიომი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
21:00	392	ვიკინგი-რ'usენბორგი	3.10	3.30	2.10	1.59	1.25	1.28
		შვედეთი. თასი						
		19 აგვისტო						
18:00	394	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	2.15	3.40	2.90	1.31	1.23	1.56

ორი დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

ოცნების მისია



ელტონ ბრენდი „ოცნების თორმეტეულის“ წევრია

„მისია შესრულებადია!“ — ასეთი განწყობით ხვდებიან ამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატი, მისიაში კი ისინი, ცხადია, იაპონიიდან მსოფლიო ოქროს წამოღებას გულისხმობენ. კარგა ხანია, მათ ხელთ არ უგდიათ ოქროს საწმისი. ახლა ხუთი „საგამოფენო“ მატჩი ითამაშეს ამერიკელებმა და ხუთივე მოიგეს, უმრავლესობა იოლად. მხოლოდ ბრაზილიასთან გაუჭირდათ და ვერც მოახერხეს უპირატესობის ორციფრა რიცხვში ასახვა, მხოლოდ ოთხი ქულით იმარჯვეს.

სულ ბოლო საკონტროლო შეხვედრა ამერიკელებს სეულში, საბრძოლო კორეის ნაკრებთან ჰქონდათ. ვერ ვიტყვით, კარეელებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შებედეს კალათბურთის უკაშკაშეს ვარსკვლავებსო, შებედეს და 63 ქულაც ჩაუგდეს, თუმც სტუმრებმა თვის წილად 116 ქულით „გააბედნიერეს“ მასპინძლები და მოსამზადებელი ციკლიც მშვენიერ განწყობაზე ჩაამთავრეს.

„იანკების“ თავკაც მაიკ კრეიჯევსკის საქმიან საუბარში მაინცდამაინც არ იგრძნობა თვითკმაყოფილება, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ კორეასთან ნამატჩევს ნათქვამ ფრაზას — „ნიჭში სხვაობა ანგარიშში ავსახეთ“. კრეიჯევსკი უფრო დეტალებზე ლაპარაკობს და ყველაზე მეტ წუხილს იმ ერთი მოთამაშის გამო გამოქვამს, რომელიც მუნდიალს გარეთ უნდა დატოვოს. ჯერ კი არ დაუსახელებია, 13 მოთამაშიდან რომელს შეელევა, გარედან დანახული თვალებით კი ეს ან ბრიუს ბოუენი უნდა იყოს, ან შეინ ბეტიე. ერთი ამპლუის მოთამაშეები არიან, უფრო კარგი დამცველები, ვიდრე შემტევები. იყო „გარიცხვის“ კიდევ ერთი კანდიდატი, 211-სანტიმეტრიანი მეფარე დაუიტ ჰოვარდი, მაგრამ ამან კრეიჯევსკის კორეასთან შეხვედრაში მოაწონა თავი.

„უკმაყოფილების საბაბი ნაკლებად უნდა გვქონდეს — ამბობს ამერიკელთა მეთაური — ბიჭები მონდომებულები არიან, გუნდის ინტერესებს პირადულზე წინ აყენებენ, ეგოიზმი არ სტანჯავთ, დაცვაში თამაშს არ თაკილობენ... ვუყურებდი სახეებზე და ვატყობდი, როგორ სწყინდათ კორეელთაგან ჩაგდებული თითოეული ქულა“.

ამერიკელებმა ეს 5 ამხანაგური შეხვედრა საშუალოდ 34,2 ქულით მოიგეს, თუმც იაპონიაში ოფიციალურ მატჩებში ეს მაჩვენებელი, ალბათ, წონაში და დამაჯერებლობაში მოიკლებს. აშშ მუნდიალზე პირველ მატჩს 19 აგვისტოს ქალაქ საპოროროში გამართავს ძველ მეტოქესა და ახლო მეზობელ პუერტო რიკოსთან.

კოტე ყორშია



ენდრიუ ბოგუტი იაო მინის წინააღმდეგ

AFP გურჯიანიდან

გურჯიანის ჩინური
იაო მინი მაქსიმა

მუნდიალისწინა ერთ-ერთ უკანასკნელ საკონტროლო მატჩში ჩინეთმა ავსტრალია 63:61 დაამარცხა. აზიის მრავალგზის ჩემპიონებთან ქვეყან-კონტინენტელებს სწორედ ამ ერთი წლის წინ ნბა-ს დრაფტზე პირველ ნომრად არჩეულმა (მილუოკი) ენდრიუ ბოგუტმაც ვერ უშველათ. ამ 211-სანტიმეტრიანმა ცენტრმა ჩინელებს 20 ქულა უმარჯვა კალათში. მას 12 ქულა სემ მაკკანონმა მიახმარა, 10 — ჯეისონ სმიტმა. მაგრამ ჩინელებსაც ჰყავთ თავიანთი გოლიათი, რომელთანაც ბოგუტი ლამის ბავშვს ჰგავდა — ყველასთვის ასე კარგად ცნობილი იაო მინი, რომლის სიმაღლის შეხსენებით თავს აღარ შეგაწყენთ. ჩანს, მინმა საბოლოოდ მოიშუშა მუხლი და იაპონიაშიც უთუოდ გაჰყვება თავის გუნდს, ახლა კი მან 21 ქულა ჩაუგდო ავსტრალიელებს და ქალაქ კანსუნის 10-ათასიან, გადაჭედილ დარბაზს ხარისხიანი კალათბურთი უჩვენა — ესეც სათქმელია — ბოგუტთან მეტოქეობაში და მისი ერთგვარი დახმარებით.

„ჩინეთი ისეც კარგი გუნდია, ხოლო როცა მოედანზე იაო ჰყავს, ძალიან კარგია“ — მეტოქეს აქებდა ავსტრალიელთა თავკაცი ბრაიან გურჯიანი — წავაგეთ, მაგრამ ჩინეთში მაინც ნაყოფიერად ვიმუშავეთ საკუთარ თავზე. დავამარცხეთ საბერძნეთი და საფრანგეთი, ასე რომ, საწუწუნო არაფერი გვაქვს.“

კოტე ყორშია

ნუ შეგვრისხავთ
სერბები თამაშს სწავლობენ

მედალს სერბებიც კი ისურვებდნენ, მაგრამ ბალკანელთა ოცნება ცოტა გასაკვირი და ბრაზილიელებზე ნაკრებ საფუძვლიანია. ბოლო ორი მუნდიალის და კიდევ ათეულობით უპრესტიჟულესი ჯილდოს მომგებ იუგოსლავიის მთავარ მემკვიდრეებს ძალიან, ძალიან დიდი ხანია, ასე უფერული გუნდი არ ჰყოლიათ. ძალიან ახალგაზრდული, ძალიან გამოუცდელი და ძალიან უცნობია ეს სერბეთი.

სერბთა მეთაური დრაგან საკოტა თავს იქექავს და ამბობს, იაპონიაში თუ რამ მარცხი შეგვემთხვა, დიდადაც ნუ შეგვრისხავთო. ესაა სრულიად განახლებული ნაკრები, რომელსაც 2004 წლის ათენის ოლიმპიადიდან ერთადერთი მოთამაშე იგორ რაკოჩევიჩი მოსდევს, სხვები კი ეს ერთი-ორი წელია, ნაკრებში არიან, ოღონდ ჯერ თავი არ გამოუჩენიათ. სერბთა შემადგენლობიდან, თქვენის ნებართვით, ერთ მოთამაშესაც ვახსენებთ. 2003 წლის დრაფტის ხმაურიანი სახელი, ლებრონ ჯეიმსის შემდეგ არჩეული დარკო მილიჩიჩი რა ხვითოცაა, ამ სამ ნბა-ურ სეზონში გამოჩნდა. ამ ყბადაღებულ კაფანდარა ბიჭს ნბა-ში უკვე აღარც ნიჭიერ მოთამაშედ აღიქვამენ და არც მისი ათამაშების იმედი აქვთ. სერბულ ნაკრებში კი მას გამორჩეული ადგილი უკავია და არც სათამაშო დროს ნაკლულობს.

დრაგან საკოტა მედალს უმიზნებს

მაგრამ ერთი უნდა ვთქვათ, სერბებმა ერთხელ უკვე ჩააჩუმეს სკეპტიკოსები, როდესაც სინგაპურში 19 ქულით სძლიეს ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინას. თუმც საკოტა მაინც იზღვევს თავს და კითხვაზე, იაპონიაში რას აპირებთო, მაინცდამაინც ნათელ ფერებში არ ხატავს თავისი გუნდის უახლოეს მომავალს.

„განსაკუთრებით ფარქვეშეთში გვიჭირს სწორედ მილიჩიჩის პოზიცია). მოხსნებში მოვიკოჭლებთ და მეტოქეს ხშირად ვაძლევთ მეორე და მესამე შეტევის საშუალებას. ჩვენ გვაქვს დიდ გუნდად ქცევის პოტენციალი, მაგრამ ახლა ვერ გეტყვით, ამას რა დრო დასჭირდება.“

კოტე ყორშია

არც ჩვენ გვაწყენს მედალი

სპარინგ-მეტოქეები ასე ამერიკელებივით არ მიუყრ-მოუყრიათ, მაგრამ ამავ ამერიკელთა ყველაზე მეტად დამზაფრავი ბრაზილიელების ბანაკიდან მაინც ოპტიმისტური ხმები მოისმის. ბრაზილიელი კალათბურთელები ფეხბურთელი თანამემამულეებისგან განსხვავებით, ოცნებებში შორს ვერ გაფრინდებიან და მსოფლიოს ჩემპიონობაც ალბათ ოცნებადვე დაურჩებათ, თუმც ის კი სჯერათ, რომ ბევრზე ცუდი გუნდი არ ჰყავთ და თვის წილ ბედნიერებას იაპონიაში აუცილებლად მოიპოვებენ.

შემადგენლობის ავკარგიანობაზე, უფრო კი კარგიანობაზე საუბრობს ბრაზილიელთა ყველაზე გამოცდილი მოთამაშე, 31 წლის მარსელინიო მაჩადო, რომელსაც თითო მხარზე თითო მუნდიალი აწევს და ახლა იმედოვნებს, მესამის სახსოვრად მკერდს რაიმე სინჯის მედლით დაიმშვენებს.

„ჩემთვის ეს ჩემპიონატი რიგით მესამეა და ვგონებ, შემიძლია, თაობათა შედარება — ამბობს მაჩადო — ახლა უკეთესი გუნდი გვყავს. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს წინა თაობას ვაკნინებდე. უბრალოდ, ახლანდელ ბიჭებს, რამდენიმე მათგანს მაინც — გაცილებით მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება აქვთ. ბარბოსა და ვარეშაო ნბა-ში თამაშობენ, სპლიტერი ესპანეთში და ევროლიგაში. წლების წინ კი ჩვენი ნაკრები ძირითადად შიდა ჩემპიონატში მოთამაშეებით კომპლექტებოდა. მაღალ დონეზე თამაშმა მეც შემძინა გამოცდილება. შეძილია და მინდა, ეს ახალგაზრდებს გადავცე. ახლა ვგრძნობ, რომ ჩვენს გუნდს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია. საკმაოდ მოვმწიფდით დიდი გამარჯვებებისთვის. რაც შემეხება მე, მინდა, სულ ცოტა, ორი წელი კიდევ ვითამაშო უმაღლეს დონეზე, 2007 წელს პანამერიკულ თამაშებზე, 2008-ში კი პეკინის ოლიმპიადაზე. მწამს, რომ პეკინში კიდევ უკეთესები ვიქნებითო“.

კოტე ყორშია

ჰერბერტის ზე-12

ველით ცქიტიშვილს და წარმატებულ ევროკამპანიას

ვასილ დოლიძეს ფოტო

გორდონ ჰერბერტი და კენ ატკინსონი

დღეს, გამთენიისას, საქართველოს ეროვნული ნაკრები უნგრეთში გაემგზავრა, სადაც სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს და იქიდან, ასევე სასპარინგოდ, რუმინეთში გადავა. ჩვენი ნაკრების მეტოქეთა სრული სია ჯერ დადგენილი არაა, თუმც ამ ფაქტმა ხელი არ შეუშალა გორდონ ჰერბერტს, შემადგენლობა გამოეცხადებინა. გუშინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ეროვნული ნაკრების სამწვრთელო შტაბმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც საუნგრეთო შემადგენლობა ხომ გამოაცხადა და გუნდში არსებულ მდგომარეობაზეც ისაუბრა. კითხვები, ძირითადად, გორდონ ჰერბერტს დაუსვეს...

— გუნდში კარგი სიტუაციაა, მოთამაშეთა მომზადების დონე ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. 3 სექტემბრამდე მთელი ნახევარი თვეა და იმედი მაქვს, იმ დროისთვის ნაკრები ოპტიმალურ ფორმაში იქნება.

— დაშავებულები ხომ არ გყავთ?

— ერთი შერმადინია ტრავმირებული. ის ვარჯიშს კი ახერხებს, თუმცა საზარდული აწუხებს და ბოლომდე ვერ იხარჯება. ეს ტრავმა მას ხელს არ შეუშლის, ნაკრებს უნგრეთსა და რუმინეთში წამოჰყვეს. ვახტანგ ნაცვლიშვილის მუხლზე უკვე აღარც ვლაპარაკობ. მას ის ქრონიკულად აწუხებს და მუხლმტკივანს მთელი ჩემპიონატი უთამაშია.

— ნაკრების წევრების ზოგადი მდგომარეობა როგორია?

— მოგეხსენებათ, მოთამაშეები ეს-ესაა დაბრუნდნენ შვებულებებიდან და მათ ოპტიმალურ ფორმაში ყოფნაზე ლაპარაკი ზედმეტია. იმ დროის კვალობაზე, რაც ვარჯიშობენ, შემიძლია, ვთქვა, რომ ბიჭები ნორმალურ ფორმაში არიან. ყველას აქვს მინუსი, მაგრამ ამის გამოსწორებას რამდენიმე დღეს სჭირდება. მაგალითად, ზაზა ფაჩულიას 5-5-ზე თამაში უჭირს, რადგან ფიზიკურად არის მოსუსტებული. ასევე არიან სხვებიც, თუმც, როგორც ვთქვი, ყველაფერი რამდენიმე დღეში გამოსწორდება.

— რას გვეტყვით ტაირონ ელისზე და შეადარეთ იგი შემონდ უილიამსს...

— ტაირონი კარგ ფორმაშია. ის უკვე გახდა გუნდის განუყოფელი ნაწილი და ძალიან მონდომებით ვარჯიშობს. იგი ერთგულია საქართველოს ნაკრების და, დარწმუნებული ვარ, მოედანზე არაფერს დაიშურებს. ტაირონი სერიოზული ძალაა და მოხარული ვარ, რომ დავიმატეთ. შემონდსა და ტაირონს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი სამი დღით ადრე შეუერთდა ნაკრებს, ელისი კი შეკრების პირველივე დღიდან ჩვენთანაა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და მჯერა, ელისი უილიამსზე არანაკლებ დახმარებას გაუწევს საქართველოს ნაკრებს.

— ბატონო გორდონ, თქვენ რამდენიმე დღით დატოვეთ საქართველოს ნაკრები და ისევ დაბრუნდით. რაში იყო საქმე?

— პოში წავედი, სადაც ჩემს ახალ გუნდში, „პო ორტეზში" მოვაგვარე პატარ-პატარა საქმეები. ამით საქართველოს ნაკრებს არაფერი დაუშავდა. ჩემი თანაშემწეები — კენი ატკინსონი და დავით უსტიაშვილი საკმაოდ კარგად გაუძღვნენ ვარჯიშებს.

— ნიკოლოზ ცქიტიშვილი ნაკრებს ჯერაც არ შეერთებია. ის, სავარაუდოდ, უნგრეთში, ანაც რუმინეთში ჩამოვა. საინტერესოა, ვის ამოაგდებს იგი შემადგენლობიდან?

— როცა ცქიტიშვილი ჩამოვა, ან საერთოდ თუ ჩამოვა, მერე ვიტყვი, ვის ადგილს დაიკავებს ის ეროვნულ ნაკრებში.

ირაკლი პერტაია

ეს იყო და ეს, მერე კი ჰერბერტის თანაშემწე დავით უსტიაშვილმა ის შემადგენლობა გამოაცხადა, რომლითაც ნაკრები დღეს უნგრეთს გაფრინდა:

უკანა ხაზი: გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, ტაირონ ელისი, ანატოლი ბოისა, მანუჩარ მარკოიშვილი.

ფრთვარდები: ვიქტორ სანიკიძე, ვლადიმერ ბოისა, ვახტანგ ნაცვლიშვილი.

ცენტრები: ზაზა ფაჩულია, დავით უგრეხელიძე, გიორგი შერმადინი.

საქართველო 65:70 ჩეხეთი

21:20 23:20 12:17 9:19

საქართველო: ძიძიგური (9), ბარბაქაძე (1), ჩაჩიბაია (4), მეტრეველი (10), შენგელია (20), ნანიტაშვილი (8), მაისურაძე (2), ჯგერენაია (11), თავდარეთქილაძე

ისევ ფაჩულია და თუნდაც ერთი ქულით

დასასანი მატჩი წააგეს გუშინ ქართველმა კადეტებმა — ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდი მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში ჩეხებს შეხვდა და თანაბრად მიმდინარე მატჩის ბოლო წუთებში დამარცხდა.

არადა, ქართველებმა პირველი მეოთხედიც მოუგეს ჩეხებს და მეორეც, თუმც მაშინ ვერ იყოჩაღეს, გადამწყვეტი მომენტი რომ დადგა. ჩერქეზიშვილის ბიჭებს ორჯერ ჰქონდათ ამ მატჩში ჩავარდნა და, სამწუხაროდ, მეორე სწორედ ბოლო წუთებს დაემთხვა.

ჯერ პირველისა ვთქვათ: ჩვენები პირველი ტაიმის დასრულებამდე 4 წამით ადრე 7 ქულით იყვნენ წინ, მაგრამ სირენამდე დარჩენილ დროში დასასანი სამქულიანი მიიღეს და დიდი შესვენებისთვის 44:40 იგებდნენ. განახლდა თამაში და ჩეხებმა კიდევ უფრო თამამად შეუტიეს ქართველებს. საშუალო დისტანციებიდან სლავებმა ბლომად ქულები მოიხვეჭეს და ახლა საქართველო ჩამორჩა — 44:47.

0:10 წაგებული ორწუთეულის შემდეგ ქართველები გონს მოეგნენ, გიორგი ნანიტაშვილის სამქულიანმა თამაში კვლავ თანაბარ კალაპოტში ჩააყენა. ასე თანაბრად გაგრძელდა მატჩი ბოლო მეოთხედის შუაწელამდე და მერე ჩეხეთმა, უფრო სწორედ კი მათმა უთუმცაო ლიდერმა ირჟი კუდლაჩეკმა გაილაღა.

სირენამდე 6 წუთით ადრე სლავები ქულას იგებდნენ, თუმც მომდევნო სამი წუთი 8:0 მოიგეს და 67:58 დაწინაურდნენ.

თამაშის დასრულებამდე ორწუთნახევარი რჩებოდა და ასე მცირე ხანში ქართველებმა რაც მოახერხეს, სხვაობის ორ ქულამდე შემცირება იყო — ისიც თამაშის ბოლოს, როცა სირენამდე 35 წამი რჩებოდა. ჩვენებმა მეტოქის შეტევა ჯარიმით შეაჩერეს, თუმც პალაჩეკმა ორივე სროლა ჩაგდო და ჩეხეთი მიუწვდომელი გახდა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ინგლისმა ფინეთის ერთი ქულით, 64:63 მოუგო და ახლა ყველაფერს ბოლო ტური გაარკვევს. საქართველო ფინეთს ხვდება და უეჭველი გამარჯვება სჭირდება, რათა ნახევარფინალში გავიდეს.

ირაკლი პერტაია

საპეკინო რეპეტიცია

ჩინური ტონტურები რუმინეთში გამოიცვეთება

დღეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები რუმინეთში გაემგზავრა. შაბათ-კვირას ბუქარესტში მსოფლიოს ჩემპიონატისწინა დასკვნითი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება და მისი შედეგების მიხედვით, ბევრი ნაკრების მწვრთნელი დაასახელებს სექტემბერში პეკინში წასაყვან შეგირდთა ვინაობას. სამსოფლიოჩემპიონატო შემადგენლობაზე კი ჯერ თითქმის ყველა დუმს. ქართული შვიდეულიც უცნობია.

„რუმინეთში ბევრი რამ გაირკვევა, მაგრამ საბოლოო სიას სექტემბერში, ბორჯომულ შეკრებაზე გაიგებთ — გვითხრა ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ — მსოფლიოს პირველობამდე ჯერ დიდი დროა და არ გვინდა, რომელიმე მოჭიდავეს ერთი თვით ადრე ვაცნობოთ, რომ ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს. ჯობს, კონკურენტების სუნთქვას ბოლო მომენტამდე გრძნობდნენ".

პეკინისწინა რეპეტიციაზე დარჩიამ რვა შეგირდი იახლა. ორ წონაში ორ-ორი კანდიდატი დააყენა, ოთხში — თითო, 55 კილოგრამში კი საქართველოდან რუმინეთში არავინ იჭიდავებს.

მწვრთნელს უმსუბუქესი წონის კონკურენციაზე ცალკე დავეკითხეთ, თუმც, მოლოდინისამებრ, კონკრეტული პასუხისგან თავი შეიკავა. არაოფიციალური წყაროების ცნობით კი, აქ უკვე ყველაფერი ნათელია.

ირაკლი ჭოჭუამ საქართველოს ჩემპიონატისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის მოგებით დაიბეგა ჩინეთის საგზური. მისი მთავარი კონკურენტი რევაზ ლაშხი კი აგვისტოს ბოლოს გვატემალაში გაემგზავრება ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე.

დიდ შვიდეულში მოხვედრის პრობლემა არც ოლიმპიურ პრიზიორ რამაზ ნოზაძეს უნდა ჰქონდეს. 96 კილოგრამის შიდა კონკურენციაში მას ბადალი არ ჰყავს. ჭოჭუასგან განსხვავებით, ნოზაძე რუმინულ ხალიჩაზეც გავა.

კონკურენტებზე აშკარად წინ დგანან წლევანდელი ევროპის ვერცხლოსანი დავით ბედინაძე (60კგ), ლაშა ლომაძე (66კგ) და რევაზ ჭელიძე (+120კგ). მთავარი ახლა ისაა, როგორ ჩაბარებენ ამ უქმეებზე გამოცდას.

რუმინეთიდან დაბრუნებული ნაკრების კანდიდატები თბილისში მყოფებს შეუერთდებიან და 23 აგვისტოს გაფართოებული შემადგენლობა ორკვირიან ბორჯომულ შეკრებაზე გაემგზავრება. იქვე მოეწყობა დასკვნითი ერთკვირიანი შეკრებაც, სავარაუდოდ, 10 სექტემბრიდან. მსოფლიოს პირველობა კი 26 სექტემბერს დაიწყება და 1 ოქტომბრამდე გასტანს.



ბადრი ჯიმლაძის ფოტო

ბეგი დარჩიას საპეკინო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია

საქართველოს სარუმინეთო ნახრები

60 კგ	დავით ბედინაძე	84 კგ	ბადრი ხასაია
66 კგ	ლაშა ლომაძე		შალვა გადაბაძე
74 კგ	მანუჩარ კვირკველია	96 კგ	რამაზ ნოზაძე
	დავით კობერიძე	+120 კგ	რევაზ ჭელიძე



შუმახერი და რაიკონენი ერთად?

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი დაახლოებით ერთ თვეში, იტალიური ეტაპის დროს გამოაცხადებს, დარჩება ფორმულა 1-ში თუ პენსიაზე გავა.

37 წლის ფერარელმა სეზონის დაწყების წინ აღიარა, რომ „სამეფო რბოლებში" მისი მომავალი მანქანის კონკურენტუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. ბუნებრივია, იგი არ ჩქარობდა დადებითი გადაწყვეტილების მიღებას შარშანდელი მწარე გაკვეთილის შემდეგ, როცა უმთავრესად „ბრიჯსტოუნის" უხეირო საბურავების მიზეზით ფერნანდო ალონსა და კიმი რაიკონენს ვერ გაუწია კონკურენცია და მესამე ადგილზეც კი შემთხვევით გავიდა.

საინფორმაციო საშუალებებმა მაშინვე ააგორეს ხმა, მიხაელის წასვლის შემთხვევაში „სკუდერიაში" მის ადგილს მაკლარენელი რაიკონენი დაიკავებსო. ასახელებდნენ საკონტრაქტო თანხასაც —წლიურ 35 მილიონ დოლარს. ფინელი „ყინულის კაციც" და „ფერარის" ბოსობაც ამ გარიგებას უარყოფდა.

ახლა კი, რადგან შუმახერი მიმდინარე ჩემპიონატში წარმატებით დაჯირითობს და მორიგი ტიტულის მოპოვების მშვენიერი შანსიც აქვს, გერმანული „აუტო ბილდ მოტორსპორტი" სექტემბერს არ დაელოდა და გადაწყვეტილ ამბად გამოაცხადა, რომ მიხაელი 2007 წელს „ფერარისთან" თანამშრომლობას გააგრძელებს, ხოლო მეწყვილედ სწორედ რაიკონენი ეყოლება, რომელსაც „სკუდერიასთან" ხუთწლიანი(!) კონტრაქტი გაუფორმებია. ორივე პილოტს გუნდში ერთნაირი სტატუსი ექნება.

რაც შეეხება ფელიპე მასას, იგი „ფერარიში" თავის წინანდელ თანამდებობას, ტესტ-მძღოლობას დაუბრუნდება, ოღონდ ჯამაგირის მნიშვნელოვანი მომატებით. ბრაზილიელს შანსი ექნება, 2008 წელს რაიკონენის პარტნიორი გახდეს, თუკი შუმახერი გაისად მაინც დაემშვიდობება „სამეფო რბოლებს".

სადღეისოდ 2007 წლის ჩემპიონატის შემადგენლობები მხოლოდ ოთხ გუნდს აქვს გარკვეული.

უცვლელად შეინარჩუნეს ტანდემი „ჰონდამ" — ჯენსონ ბატონი, რუბენს ბარიკელო და „ტოიოტამ" — რალფ შუმახერი, იარნო ტრული.

„უილიამსში" ნიკო როსბერგი რჩება, ხოლო მარკ ვებერს ავსტრიელი სათადარიგო მრბოლი ალექსანდრ ვურცი შეცვლის. ავსტრალიელი ვებერი „რედ ბულში" გადავიდა, სადაც ავსტრიელ კრისტიან კლიენს შეცვლის. „წითელი ხარების" წამყვანი პილოტი კი გაისადაც შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი იქნება.

გია ახალაძე

სიკვდილცვენა K 2-ზე

დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალმა ჩოგორი (ანგელ K2) იმდენი იჭირვეულა, ხან რვაათასიანებისთვის არადამახასიათებელი სითბოთი, რამაც ქვისცვენა გამოიწვია, ხანაც ქარშხრეთა და დიდი ლობით, რომ ოთხი რუსი მთამსვლელი შეიწირა. მათ ექსპედიციაში, რომელსაც „K2 კუზბას — 2006" ერქვა შეუერთდა კიდევ თითო ქართველი, ბელარუსი, პოლონელი და ირლანდიელი მთამსვლელი.

ამ გუნდის წევრმა, ჩვენმა მთამსვლელმა გია თორთლაძემ, მოსალოდნელი ხიფათი ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ იგრძნო და საბაზო ბანაკიც მაშინ დატოვა, სხვები გამოდარებას დაელოდნენ. ტრაგედია კი მწვერვალიდან 200 მეტრით ქვემოთ დატრიალდა, როცა მას ზვავი მოსწყდა და ოთხი რუსი მთამსვლელი თან გადაიყოლა.

ეს ამბავი გუშინ დაადასტურეს ექსპედიციის მეთაურმა და ადგილობრივი კავშირის ოფიცერმა.

ავთანდილ ბუკვიშელი



უნიჭიერესი რუსი ჰოკეისტი, 20 წლის ევგენი მალკინი ამერიკაში გაიქცა. გაიქცა ისე, როგორც ადრე, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გარბოდნენ, როდესაც საბჭოეთზე ათწლეულობით ჩამოფარებულ რკინის ფარდაში პატარა ღრიჭო გაჩნდა და ამ ღრიჭოს ათასები მიასკდნენ. ამ ათასებში ჰოკეისტებიც იყვნენ და სწორედ მაშინ მოხდა ჰოკეისტის ყველაზე ხმაურიანი გაქცევა — ალექსანდრ მოგილნიმ საბჭოელთა ახალგაზრდული ნაკრები დატოვა და ბაფალოს მიაშურა



გაქცევა ჰელსინკიდან
აბიდნა, ზა ძერჭავუ აბიდნა

მალკინიც დაახლოებით ასე გაიქცა — დიდი ფიქრის, პატრიოტული შეგონებებისა და მოლაპარაკებების შემდეგ მაგნიტოგორსკის „მეტალურგთან" კიდევ ერთი წლით გაგრძელა კონტრაქტი და გუნდთან ერთად ფინეთში სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე ჩასული ჰელსინკიდან აორთქლდა.

სრულიად რუსეთი, არა მხოლოდ რუსული ჰოკეის სამყარო, არამედ მთელი დერჟავა შოკშია — ადრე ხო, ადრე გარბოდნენ, მაგრამ მაშინ საბჭოთა რეჟიმი იყო, სპორტსმენებს კაპიკებს უხდიდნენ, აქ ცხოვრება არავის უნდოდა და ახლა კი, როდესაც რუსეთი კვლავაც დიდი ქვეყანაა (თანაც დემოკრატიულიო), სადაც ჰოკეისტებს ბევრ შემთხვევაში იმაზე მეტს უხდიან, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში, ასე გაქცევა როგორ იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, რატომ აფორმებდა „მეტალურგთან" კონტრაქტს და, თუ გაფორმა, მოეცადა ეს ერთი წელიც და წესიერად წასულიყო — აი, ასეთია რუსული ჰოკეისა და სპორტის ჩინოვრიკებისა და საინფორმაციო საშუალებათა გულდათუთქული აზრი.

მაგნიტოგორსკული გუნდის გენერალურმა დირექტორმა გენადი ველიჩკინმა სპორტული ტერორიზმიც კი ახსენა და განაცხადა, „პიტსბურგს" აუცილებლად სასამართლოში ვუჩივლებთო.

„პიტსბურგ პინგვინზი" კი ის გუნდია, რომელმაც ამ სამი წლის წინანდელ დრაფტზე მთლად ღლაპი, 17 წლის მალკინი აიყვანა. ერთი ეგ იყო, რომ მერე NHL-ში საქმეები აიწეწა, ლოკაუტის გამო მთელი სეზონი გაცდა და მალკინის ჩრდილოამერიკაში წასვლა კი არა, თავად კანადელი ვარსკვლავები ჩამოვიდნენ რუსეთში სათამაშოდ. შარშან ლოკაუტი კი დასრულდა, მაგრამ ევგენიმ ერთი წლით სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა. ეს ერთი წელიც გავიდა და რუსულ საინფორმაციო საშუალებებში მთელი საგა გაჩაღდა — მალკინი რჩება, მალკინი მიდის, მალკინმა „მაგნიტკასთან" ხელშეკრულება გააფორმა, მალკინს პიტსბურგში ელიან და ასე შემდეგ.

რუსული ჰოკეის ახალი შეფი, ლეგენდარული მეკარე ვლადისლავ ტრეტიაკი და რუსთა ნაკრების ასევე ახალი თავკაცი ვიაჩესლავ ბიკოვი უნიჭიერესი ცენტრფორვარდის გარშემო დამრტყმელი სამეულისა და სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრების აშენებას გეგმავდნენ, მაგრამ_ „უაღრესად გულგატეხილი ვარ. მოთამაშე უნდა ფიქრობდეს, რას აკეთებს, მალკინმა კი თავისი საქციელით მრავალ ადამიანს ულალატა" — განაცხადა ტრეტიაკმა და მერე ჩვეული რუსული ამბები მოაყოლა რუსული ქვეყნისა და ჰოკეის აღორძინება-გაფულიანების შესახებ და ახლა გაქცევა როგორ იქნებოდაო, დაამატა.

ჰოკეისტის დედა, ნატალია მიხაილოვნა: „ფულში არ არის საქმე, ფულში ის არაფერს კარგავდა. მას, უბრალოდ, ძალიან უნდოდა NHL-ში თამაში, მაგრამ „მეტალურგის" თავკაცები ბოლო ხანებში სულ პატრიოტიზმზე ელაპარაკებოდნენ და ევგენის გრძნობებზე თამაშობდნენ. ის უარს ვერ ამბობდა, მაგრამ შემდეგ მე მეუბნებოდა: „მე ხომ იქ მელიან, მე ხომ მათ შევპირდი!"

შეპირდა და შეასრულა კიდეც. წავიდა. უფრო სწორად, გაიქცა. ისე გაიქცა, როგორც ადრე გარბოდნენ და რუსულ დერჟავისტულ სულს რაღაც ჩექმისმაგვარი ჩასცხო.

NHL-ის ვიცე-პრეზიდენტი ბილ დეილი, ბუნებრივია, დიდად არ ნაღვლობს შეურაცხყოფილი რუსული სულის თაობაზე: „იძულებითი მონობის დრო დიდი ხანია, რაც დასრულდა. ჩვენ პატივს ვცემთ მოთამაშის სურვილსა და მის უნარს, მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება და ვიმედოვნებთ, რომ მალკინის საქციელი აიძულებს რუსეთის ჰოკეის ფედერაციის ჩინოვნიკებს, დასხდნენ ჩვენთან ერთად მაგიდასთან და მოვილაპარაკოთ იმ ახალ ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც განხორციელდება რუსეთიდან NHL-ში ჰოკეისტთა ტრანსფერები".

გია მუჯირი

ფედერერის ციმ-ციმ ნამატი

ორ წელიწადში ჩატეული 55 გამარჯვება

კაცები
მასტერსი
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 450 000 $

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **პარადორნ სრიჩაპანი** (ტაილანდი) 7:5 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — **სემ ქუერეი** (აშშ) 6:7 6:2 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (4, ხორვატია) — **გრეგ რუსედსკი** (ბრიტანეთი) 6:3 6:4; **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) 7:5 7:5; **ენდი როდიკი** (9, აშშ) — **დანიელო ბრაჩიალი** (იტალია) 6:7 7:6 7:6; **ტომი ჰაასი** (14, გერმანია) — **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) 6:3 6:4; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ტომაშ ბერდიხი** (11, ჩეხეთი) 6:4 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი) — **იარკო ნიემინენი** (12, ფინეთი) 7:6 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (13, ჩილე) — **ნიკოლას მასუ** (ჩილე) 6:4 6:4; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) 4:6 6:4 7:5; **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — **მარატ საფინი** (რუსეთი) 6:4 7:5; **მაქსიმ მირნი** (ბელარუსი) — **ქსავიე მალისი** (ბელგია) 7:5 4:6 6:3; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) 5:7 6:4 6:1; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — **ლუკაშ დლუში** (ჩეხეთი) 6:4 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **ბიორნ ფაუ** (გერმანია) 6:2 6:3; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპანეთი) 6:3 7:6

ქალები
მონრეალი. კანადა. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

პირველი წრე

ანა-ლენა გრონეფილდი (10, გერმანია) — **ჯულია შრუფი** (გერმანია) 6:3 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — **გიზელა დულკო** (არგენტინა) 6:2 6:0; **მარი-ივ პელეტიე** (კანადა) — **ნა ლი** (16, ჩინეთი) 6:4 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) 6:3 6:4; **ჟი ჟენგი** (ჩინეთი) — **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) 6:2 2:6 6:2; **აი სუგიამა** (იაპონია) — **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) 6:3 7:5; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — **ვერა დუშევინა** (რუსეთი) 7:5 6:3; **ჟენაი პერი** (აშშ) — **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) 7:5 6:2; **სარა გლეზი** (ზიმბაბვე) — **ნეა ობეროი** (აშშ) 7:6 6:2; **ჯამეა ჯეიმსონი** (აშშ) — **ლორდეს დომინგეს ლინო** (ესპანეთი) 6:1 6:0; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — **მარნა მარტინეს სანჩესი** (ესპანეთი) 6:1 6:2; **მარტა დომახოვსკა** (პოლონეთი) — **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) 7:6 7:6; **ზტეფანი ლუბოიესი** (კანადა) — **ტატიანა გარბინი** (იტალია) 6:4 6:4

მეორე წრე

ნიკოლ ვაიდიშოვა (5, ჩეხეთი) — **ლუსი საფაროვა** (ჩეხეთი) 3:6 7:5 6:1; **მარტინა ჰინგისი** (7, შვეიცარია) — **მარა სანტანჯელო** (იტალია) 7:5 7:6

ზუსტად ორი წლის უკან, 2004 წლის ცინცინატობის პირველივე წრეში როჯერ ფედერერი დამარცხდა და მას აქეთ ჩრდილოამერიკულ ჰარდზე სწორუპოვარი შვეიცარიელის მომგები აღარ გამოჩენილა. გასულ კვირას როჯერმა ტორონტოს მასტერსის მოგებით კარიერაში მე-40 ტიტული მიითვალა და კანადიდან ამერიკაში ჩასულმა, ცინცინატის საოსტატოც მოგებით დაიწყო — 7:5 6:4 აჯობა ტაილანდელ პარადორნ სრიჩაპანს. ნახსენები შარშანწინდელი მარცხის შემდეგ ფედერერს, უკვე ზედიზედ 55 გამარჯვება დაუგროვდა ჩრდილოამერიკულ მაგარსაფარზე და არც არავინ ჩანს, „მხიარულ როჯერს" ეს ფანტასტიკური სერია რომ შეაწყვეტინოს.

ამის გაკეთებას ცდით ბევრი ეცადა და თავისი წილი მონდომება არც სრიჩაპანს დაუკლია, მაგრამ, რად გინდა — პირველი ბრეიკი, უკვე მეხუთე გეიმში ტაილანდელმა კი გაახერხა, მაგრამ საპასუხოდ ფედერერმა მეათე და მეთორმეტე გეიმებში ორჯერ აართვა აზიელს მოწოდება, სეტი დაისაკუთრა და აღარც მეორე დაუთმო მეტოქეს.

ძალიან მაგრად ვითამაშეო, იძახდა ნამატჩევს შვეიცარიელი და კაცს ენა არ მოგიბრუნდება საწინააღმდეგოს სათქმელად.

მოიგო, თუმც გაცილებით მძიმე, სამსეტიან ბრძოლაში იმ ერთადერთმა ჩოგბურთელმაც, ვისაც ფედერერის ძლევა ხელეწიფება. მიმდინარე სეზონში როჯერი ოთხჯერ დამარცხდა და ოთხივეჯერ რაფაელ ნადალთან. ტორონტოშიც ყველა ელოდა ფედერერ-ნადალის მორიგ ფინალურ ჯახს, მაგრამ არ გამოვიდა — ესპანელმა ჯეელმა ტომაშ ბერდიხთან წააგო და ცინცინატიშიც ისე დაიწყო, ასე თამაშით ფედერერამდე, ანუ ფინალამდე მისვლა გაუჭირდება. ნადალს მეტოქედ ამერიკული ჩოგბურთის ახალი იმედი, 18 წლის კალიფორნიელი სემ ქუერეი ჰყავდა და პირველი სეტი ამერიკელმა ტაი-ბრეიკზე მოიგო, თუმც რაფომ მერე მაინც იძალა და მეორე წრეში გააღწია.

ბერდიხი ვახსენეთ და ამ ჯანიანი ჩეხის საპირველწრეო მარცხი ერთ-ერთ უმთავრეს ცინცინატურ მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ. თანაც, შვედმა რობინ სოდერლინგმა ბერდიხს ძალზე იოლად მოუღო ბოლო. განთესილებიდან წაადგო იარკო ნიემინენმაც, მაგრამ მას ნოვაკ ჯოკოვიჩმა ავჯობა და ეს სერბი კი ნამდვილად იმსახურებს წლის ყველაზე გაუმჯობესებული, ანუ პროგრესირებადი მოთამაშის სახელს.

იყო ორი საინტერესო შიდა დაპირისპირებაც და, თუ ჩილელების — გონსალესისა და მასუს დუელში პირველმა უპრობლემოდ იძალა, ბრიტანული დუელი გაცილებით საინტერესო და ლამაზი სანახავი გამოდგა. ჭაბუკმა სქოთმა ენდი მიურეიმ, ისევე როგორც ტორონტოში, ამჯერადაც მოუგო ვეტერან ინგლისელ ტიმ ჰენმანს, მაგრამ ცინცინატური შეხლა გაცილებით მძაფრი გამოდგა — საპენსიოდ გამზადებულმა ტიმმა პირველი სეტი აართვა ყრმა თანამემამულეს და მერეც ბოლომდე იომა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მიურეიმ იძალა და მეორე წრეში თვით ფედერერთან შეხვედრა გაიჩალიჩა.

ცინცინატური ამბების ბოლოს ენდი როდიკიც ვახსენოთ. წვალობს, ჯახირობს წელს უტიტულოდ მყოფი ენდიბიჭი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, სულაც აღარაა ბიჭი და კარგა მოზრდილი მუტრუკია, მაგრამ ძველებურად, ბიჭურად თამაშს ვეღარაფრით ახერხებს. აგერ ახლაც, იტალიელ დანიალო ბრაჩიალისთან როდიკმა მთელი სამი სეტი იტანჯა, სამი ტაი-ბრეიკი გადაიტანა და ბოლოშიღა გატეხა აპენინელის წინააღმდეგობა.

პარალელურად კანადურ მონრეალში ქალთა სუპერტურნირი მიმდინარეობს და იქ მყოფი რჩეული დიაცები ახლაღა ებმებიან ბრძოლაში. ფავორიტთაგან პირველნი კორტზე ჩეხი თინეიჯერი ნიკოლ ვაიდიშოვა და შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი გავიდნენ და მთლად უპრობლემოდ არა, მაგრამ მაინც გასცდნენ მეორე წრეს. ადგილობრივი ფრანკო-კანადური პუბლიკა კი მარ-ივ პელეტიემ გაახარა, რომელმაც ორ სეტში სულ ბდღვირი ადინა მე-16 ნომრად განთესილ ჩინელ ნა ლის.

გია მუჯირი

AFP ფოტოსტოდიიდან

ბრიტანულ საჩოგბურთო ტასტზე ტიმ ჰენმანი ენდი მიურეიმ შეცვალა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიფრინავს, ურო მიფრინავს!

ლისენკომ რეკორდი ნასადილევს გამოაცხო

გიოტებორგული ევროპირველობის შთაბეჭდილებები ჯერ არ განელებულა და მძლეოსნები ბებერი „ულევის" შემდეგ სხვა სარბიელებს შეესივნენ. თან, ისე უბრალოდ კი არა, ისე შეესივნენ, რომ ის გვანახეს, რასაც გიოტებორგში მთელი ერთი კვირა ამაოდ ველოდით — მსოფლიოს რეკორდი

და, რომელ სახეობაში მყარდება ბოლო ხანებში ყველაზე ხშირად მსოფლიოს რეკორდები? პასუხი მარტივია — ქალთა შორის ეროს ტყორცნაში და ამჯერადაც ასე მოხდა და ამჯერადაც რუსმა დიაცმა, გიოტებორგის ტრიუმფატორმა ტატიანა ლისენკომ ივარგა, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართულ შეჯიბრზე 77 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე გასტყორცნა ოდითგანვე ნამგალთან ერთად რუსთა საყვარელი იარაღი და თავისივე ძველი რეკორდი, რომელიც აგრეთვე წელს, მოსკოვში, ძმები ზნამენსკების მემორიალზე იყო დამყარებული, 39 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

აღსანიშნავია, რომ რუსმა ქალებმა წლეულს, უკვე მესამედ ტყორცნეს ეურო სარეკორდოდ — ლისენკომდე მცირე ხნით გულფია ხანაფიევაც რეკორდსმენობდა.

„ვაბ, რა დღე იყო! — ხარობდა ტატიანა — ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ნასადილევს ცოტა წავთვლიმე და კინალამ სტადიონზე მიმავალ ავტობუსზე დამაგვიანდა. ძლივს მივასწარი. მივედი სტადიონზე, მოთელვა დავიწყე და ვგრძნობ — მიფრინავს ურო, მიფრინავს! პირველი ცდა ჩავაგდე, მესამეზე და მეოთხეზე 76 მეტრს გადავაცილე და მეხუთეს წინ გავიფიქრე, ახლა კი დროა, მეთქი. გამოვიდა!"

ლისენკოს გარდა ტალინში სხვა ჯანიანმა სპორტსმენებმაც ივარგეს, ვისზედაც ნამდვილად ვერ იტყვი, მსუბუქი ათლეტები არიანო. ლისენკოს დარად ევროპის ჩემპიონმა, ლატველმა ვირგილიუს ალეკნამ თავისი ბადრო გვარიანად შორს აშხუილა და საუკეთესო ცდაზე 69,30 მეტრიან გიშნულს აწია.

ივარგა ევროპაში ოკეანის გაღმიდან ჩამოსულმა კრისტიან კენტვილმაც. ამერიკელმა ბითვის მკვრელმა, ვისაც ამ სეზონში ნამდვილად არ ჰყავს ბადალი, ჯერ 21,40 მეტრზე გაისროლა შვიდკილოგრამიანი სფერო, ხოლო ბოლო ცდაზე, სულაც 21,75 მეტრი აჩვენა და ევროპელი კონკურენტები უიმედოდ ჩამოიტოვა.

გია მუჯირი

AFP

გაუძლებენ

ასეთ მანქანებს 1934-57 წლებში უშვებდა სიტროენის ქარხანა. ძველებურია, ძველია, მაგრამ წუნი არ დაედება, მაინც ყოჩაღად დადის. მისი პატრონი დიდიე ჰესე მისით კონტინენტ ავსტრალიის გადაკვეთას და 7 ათასი კილომეტრის გავლას აპირებს — სიდნეიდან დარვინამდე გრძელი გზაა, მაგრამ მანქანაც გამძლეა და მისი პატრონიც.

AFP სულლიდან

ქვეყნის სამსახური მარტო ავტომატს და ყუმბარას არ გულისხმობს. ერთგულება ბურთაობითაც მტკიცდება. ესენი სწორედ მობურთალები არიან, აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრების ლიდერთაგანი ლებრონ ჯეიმსი გუნდის ხელმძღვანელთა ფონზე ფიცს დებს, არ გაახაროს თავისი ქვეყნის მტრები მოედანზე.

კილომეტრნახევარი

პეკინი მასპინძლობს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს მძლეოსნობაში. ესენი 1500 მეტრზე მორბენლები არიან. წინ რომ ქარზე უსწრაფესად მიჰქრის, ბაჰრეინელი ბელარ მანსურ ალია. გამარჯვებულიც ისაა.



AFP ბუნინდან

მარტო ზღვაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP



ბისკაის ყურის ტალღებს მიაპობენ ცალკაციანი იახტები. ესპანური სანტანდერიდან ფრანგული სენტ-ჟალ-კრო-დე-ვამდე ასე მარტოებმა უნდა მიაცურონ თავიანთი აფრიანი ვარცლები. ნიკოლას ტრესელის იახტა უკვე უახლოვდება საფრანგეთის ნაპირებს. წამიც და, შუქურასაც ჩაუვლის.

მაქსიმის ხათრით

ჟურნალ „მაქსიმის“ ყდაზე მოხვედრის ხათრით მრავალთ ცნობილთ მოუშიშვლებიათ სხეულის ნაწილები. ეს ფეხაღმა ლამაზი ქალი ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი ბრიტა კამრაუ გახლავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვეა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფრაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge